ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1905

I ჩამეხუტე, მეშინიან! სურათი 3
II მაგათაც ხომ უნდათ თავისუფლება—ტასოსი 4
III მამა და შვილები იგავი—ალ. მირიანაშვილისა 6
IV რათ მოჰკლეს დედა-ჩემი?—ან. წერეთლისა 7
V ბიძიას ნაამბობი (სურათები ბავშვების ცხოვრებიდან)—ალ. ნაცაძესი 11
VI ფარშევანგი—ტასოსი 29
VII ერეკლე ბატონიშვილის მიხვედრილობა—ალ. სარაჯიშვილისა 32
VIII ჩემი ნამდვილი მეგობარი (ტომსონით)—თეოფ. კანდელაკისა 34
IX სახუმარო გასართობი და წვრილმანი 39
X სიმღერა ლექსი—ბაჩანასი 43
XI უმანკო ანდრიას—ეკ. გაბაშვილისა 44
XII ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა—გაგრძელება ე. სისოევისა. (თარგმანი)—ნ. ენუქიძისა 47
XIII უდროვო კუბო სურათი—მ. კინწერაშვილისა 56
XIV ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა (გაგრძელება)—სან—ინისა 59
XV ობოლი ქალი ლექსი—შიო მდივანელისა 71
XVI უგულო ბავში მოთხრობა მონგომერისა თარგ.—ელ. წერეთლისა 72
XVII ყრუ-მუნჯების და ბრმების მეგობრები (დასასრული)—ან. წერეთლისა 83
XVIII წვრილმანი 96

იბეჭდება და მალე გამოვა „ჯეჯილისა“ № XII



ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ X—XI

წელიწადი მეთექვსმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1905

— ჩამეხუტე, მეშინიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგათაც ხომ უნდათ თავისუფლება!

(სურათი)

ასტანგი არსად გაუშვა, გესმის, კატო!

— კარგი, კარგი. — მისძახა ცოლმა. ვასტანგი მეორე ოთახში ფანჯრის წინ იდგა. უიმისოთაც მოწყენილმა მაჭის სიტყვებზე ქვითინი ამოუშვა.

იმისთვის აღარც სკოლაა, აღარც ამხანაგები. ყველა წითელი ნაჯრებით მორთულნი მხიარულათ დასეირნობენ ქუჩებში, გაიძახიან: ყველა უნდა თავისუფალი იყოსო და ეს-კი ერთხელ გაიყვანეს გარეთ და მასუკან აღარსად უშვებენ.

ვასტანგი სლოკინით ტიროდა.

დედამ მეორე ოთახიდან შესძახა: — ვასტანგ, მოემზადე. ახლავე გავათავებ ჩემ საქმეს და წავიდეთ სასეირნოთ.

ემაწვილი სწრაფათ წამოხტა, ერთ წუთას ჩაიცვა და ქუდით ხელში გამოეცხადა დედას.

კატოს ეშინოდა ჯარისკაცებისა, არ უნდოდა შვილის ქუჩაში გაეყვანა, მაგრამ ამისთანა ცოცხალი ბავშის სახლში შეკავება ძნელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღრუბლული დღე იდგა, თითქოს წვიმას აპირებდა. ხალხი ნაღვლიანათ უხალისოთ სეირნობდა. კატოს მაგრათ ეჭირა ვახტანგის ხელი — არსად გამექცესო.

უმაწვილი მართლაც აპირებდა დედის ხელიდან გასხლტომას. აქეთ-იქით აჭუეტდა თვალებს, უკვირდა ხალხი რატომ აღარ მხიარულობს, როგორც წინა დღეებშიო. ამან ერთბაშათ დაინახა ხალხის ჯგუფი, გაექანა იქითკენ, დედაც ძალა-უნებურათ გაჰყვა შვილს.

ათიოდე კაცი შემოხვეოდენ ერთ დიდ გალიას, რომელიც ნიბლია ჩიტებით სავსე იყო, გალიას გვერდით იდგა გამეიდველი და აქებდა თავის შავ-უვითელა ჩიტებს. მაყურებლები მეტი იყვენ მეიდველებზე. ვახტანგი დაფიქრებული შესცქეროდა ჩიტებს. კატო შეეგაჭრა ერთ ჩიტს. ვახტანგმა დედას ხვეწნა დაუწყო ყველა მიეიდეო.

ბოლოს დედამ სამი ეიდა და მისცა ხელში.

ცოტა რომ გასცილდენ ამ ადგილს, ეკლესიასთან ვახტანგმა სამივე ნიბლია გააფრინა. ჩიტები მხიარული ჭიკჭიკით დასხდენ მახლობელ ხეზე.

— ეგ რა ქენი შვილო! უთხრა დედამ.

— აკი ამბობდით ყველა თავისუფალი უნდა იყოსო.

მაგათაც სომ უნდათ თავისუფლება!

ტასო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა და შვილები.

იგავი.

ქნარა და ავ კაცს ცოლი მოუკვდა. დარჩა ობლათ ორი ვაუიშვილი. ესენი წამოიზარდენ და უპატრონობის გამო ვერაფერს საქმეს ვერ დაადგენ.

დადიოდენ უგზო-უკვლით, სად დაუღამდებოდათ, სად გაუთენდებოდათ, — თითონაც არ იცოდენ. კიუინი, გინება, ტოლებთან ჩხუბი, ლობეების ჩეხა, ქურდობა იმათი ხელობა იყო.

შეწუხდენ მეზობლები ამათი ოინებით. ერთხელ ადგენ, წავიდენ მამასთან და შესჩივლეს: „მეტი მოთმინება აღარ შეგვიძლიან, ან შენი შვილები შეიკავე, ან არა და ცუდ დღეს დავაყენებთო“.

— ცხონებული დედა-თქვენი, — მიუბრუნდა მამა შვილებს, — ნამდვილი ღვთისნიერი, პატიოსნებით სავსე, მშვიდი, მშრომელი და უწყინარი ადამიანი იყო; ნეტა თქვენ ვის დაემსგავსენითო?

— მამასაო, არხეინათ მიუგეს შვილებმა.

ალ. მირიანაშვილი.

რათ მოჰკლეს დედა ჩემი!

(22 ოქტომბერი)

— ენაცვალოს დედა შენი, ნუ მოდი-სარ! ხომ იცი რა არეულობაა, გაგაჭლეტენ. მე ერთ წამს ჩავირ-ბენ ძირს, იქნება კვერცხები მაინც ვიშოვო. ხომ ცარიელ ჰურზე ვერ შეგინახავ, ჩემო სიცოცხლევ!

— დედილო, მეც წამოვალ, არა მიშავს-რა, მეზობლიანთ ბიჭე-ბი სულ კარში არიან. შენი ჭირი-მე, დედილო — და ნუცა გამოეკიდა დედას.

შუადღე გადასული იყო. მზეს ისევ კაშკაში გაჭქონდა. გოლოვნის ჰროსპექტი სავსე იყო ხალხით, ბუზივით ირევო-დენ. თინამ გაიარ-გამოიარა. მართლაც წააწყდა ერთ თათარს, რომელსაც ქუჩის შესახვევში ეჭირა გადაფარებული კალათა

კვერცხებით. თინამ იუიდა ორიოდ კვერცხი, გამოჭერა ხელსახოცში და ის იუო შინ დაბრუნებას აპირებდა, რომ ნუცამ დედის კალთას ხელი მოსჭიდა და შეეხვეწა ცოტა ხანს დავრჩეთ, ვნახოთ რა ამბავიაო.

ქუჩაში ხალხი მოდიოდა, სულ რაღაც სხვანაირი ხალხი. ბევრი მალაკნები იუვენ, უმეტეს ნაწილს სახე აწითლებული ჭქონდათ, ეტუობოდათ ღვინის და არაუის მოტრფიალენი იუვენ. ამ ხალხს გარშემო ჯარი ერტუა, ევიროდენ, ღრიანცელი გაჭქონდათ, უველას აძალადებდენ ქუდის მოხდას.

ერთბაშათ საიდგანღაც თოფის სროლა მოისმა. აირია ხალხი. თავ ზარ-დაცემულები უველა გარბოდა. თინამ ხელი მოხვია თავის შვილს და აღმართისაკენ შეუხვია.

საზარელი სროლა ატუდა, თოფებს გრიალი გაჭქონდა. თინა არბოდა აღმართზე, სული უელში ებჯინებოდა. ტუვიებს მის უურებში ზუზუნი გაჭქონდა. საბრალო დედა რაც-კი შეიძლებოდა თავის ნუცას კალთას აფარებდა. აი, ვილაც დაეცა. ერთი, მეორე, დაღმართზე სისხლი თქრიალით წამოვიდა.

— ნუ თუ ჩემ ნუცას ვერ გადავარჩენ,—-ფიქრობდა თინა,—ცოტა კიდევ რომ გავიქცე ქუჩის შესახვევი იქნება და იქ თავს შევაფარებ.

ამ დროს იგრიალა თოფმა და დედა-შვილნი ძირს გაიშხლართენ. ამავე დროს ვილაც კაცმა გაურბინა გვერდით, დაინახა რომ უმაწვილი ცოცხალი იუო, მოიტაცა და ხელში აიუ-

ვანა. ნუცა უაზროთ, გაშტერებული დანებდა. მაშინვე გადასხედა დედას, რომელიც უძრავათ თვალებ-დაჭყეტილი ეგდო და თითქოს ვიღასაც ხელით იფარავდა. სისხლში გარეული კვერცხის გული ღვარათ ჩამოდიოდა.

გაჩქარებული მირბოდა კაცი, ნუცას-კი კისერი მოგრეხილი ჭქონდა და გაშტერებული შესცქეროდა თავის საუვარელ დედას. ტუვია ისევ ისე სეტუვასავით მოდიოდა. კაცმა არ იცოდა საიდან და ან რათ ისვროდენ. აგერ, მხეცებმა დაუმიზნეს უმანკო ბავშს, გავარდა თოფი, მოხვდა უმაწვილს ბარძაყში და მერე კაცს თეძოში გაურბინა.

მაგრამ კაცი არ ეპუებოდა, მირბოდა, მიფრინავდა თავის სახლისკენ. ძლივს მივიდა ის შინ. გონება მისდილი ბავში ძირს დაუშვა და თითონაც ვეღარ შესძლო, გულშეწუხებული დავარდა.

მთელი ოჯახი უიმისოთაც საშინელი ამბებით თავზარდაცემული ახლა სულ აირ-დაირია. რის ვაი-ვაგლახით მოაბრუნეს ოჯახის მრჩენელი უმაწვილიკაცი და შეუკრეს მსუბუქი ჭრილობა. მაგრამ დაობლებული ბავშის გონებაში ჩაგდება აგრე ადვილი არ იყო. ექიმები დიდხანს სწამლობდენ, უმაწვილი მაინც გონებაზე ვერ მოდიოდა საბრალო სულ იმას გაიძახოდა: რათ მოჭკლეს დედა ჩემი! რას ერჩოდენ, რათ მოჭკლესო!

ან. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძიას ნაამბობი.

(სურათები ბავშვების ცხოვრებიდან).

ეხლა მე ობოლი ვარ!..

ს-კი ალარ მახსოვს თუ როდის მომიკვდა მამა, მაგრამ მისმა სიკვდილმა-კი დიდი გავლენა იქონია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე: მამიჩემის-მიერ ქალაქიდან მოტანილი ბუზმენტიანი და მშვენიერათ შემკული ტანისამოსი გამიცვდა, მშვენიერი ჩემი ულიანი ჩუსტები მიმეგლიჯ-მომეგლიჯა, კოხტა ბუხრის ქუდიც ამებურძგვნა, თითქო ამ ოხერსაც მამა მოჰკვდომიაო. სასმელ-საჭმელშიაც ზომიერება დაგვეტეო—ეს ექვსი თვეა, მამიჩემის სიკვდილის შემდეგ, რაც მე თევზეულობა არ მიჭამია, ჩვენს სახლში ქადა-ნაზუქი არავის შემოუტანია. თანდათან ვგრძნობ, რომ მე ობოლი ვარ!.. ამას ჩემი ძმებიცა გრძნობენ, უველანი ჩვენს გარშემო, მაგრამ დედაჩემს-კი ჯერ გული არ გასტეხია: ფაცი-ფუცობს, მიდის, მოდის, რაღასაც კითხულობს, უნდა თავისი ობლები სახელმწიფო სარჯზე დააბინაოს სადმე და მე-კი... იცით?—სახლში უნდა დამტოვონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული როგორღაც მეთანაღრება, გული რაღასაც გრძნობს... მაგრამ დედიჩემის ერთი ალერსი, ერთი გულზე მიკვრა, უველაფერს მავიწუებინებს. მეც ვეკვრები დედას გულზე, ვმხიარულობ, ვცელქობ, სულ იმის ცდაში ვარ დედაჩემი როგორმე გავამხიარულო.

— დედა! ჩემო დედა, ჩემო კარგო დედა! — ვეუბნები მას და რაც შემიძლიან მაგრათ ვეკვრები გულზე.

— ჭო, შვილო! ჭო, ჩემო ნუგეშო! — მეუბნება დედაც და მიკოცნის ჩემ გაჭახჭახებულ ლოუებს. მე ამ წუთში ბედნიერზე ბედნიერი ვარ, აღარათ ვაგდებ ჩემს ობლობას, დაგლეჯილ ტანისამოსს არაფერათ აღარ ვაგდებ, ჯამა-სმაზედაც აღარასა ვფიქრობ. «ჯანდაბას თუ ტანისამოსი არა მაქვს, თუ ჩუსტებიდან ფეხები გამოძიუვია... დედა ხომ მყავს, დედა, ვენაცვალე ამას, ამას თავს შემოვევლე' ვფიქრობ ამას და რაც შემიძლიან ვტელოშნი დედიჩემის დამჭკნარსა და დადარდიანებულ სახესა.

მე მარტო ვრჩები.

მარიამობისთვეა — დრო კალოობისა და მუშაობისა სოფელში! უველა ზრუნვაშია, უველა მოძრაობს, ფაცი-ფუცობს, სიცხე-ჰაჰანაქებასაც-კი არავინ არაფერათ არ აგდებს, უველა მუშაობაშია! აგერ ჩვენი საბძლის გასწვრივ, ჩვენებიანთ სოლოს კალოზე, რა რიგათ დაასრიალებენ ახალ მოზვრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სისარულშია დიდი და ჰატარა! მღერიან, დარბიან, უქცევენ, ეირაძალა გადადიან. მეც მივდევ-მოვდევ ამ მოზვრებს; ხან ავხტები კედრზე, ხან ჩამოვხტები. სისარულში ვარ, სიამოვნებაში! ყველას უყვარვარ, მეც ყველანი მიყვარან... ფრინველებსაც ჩვენს ახლო-მახლო დიდი ჟივ-ჟივი გაეაქვთ: ესენიც ადამიანებივით ზრუნვაში არიან... ლხინობენ ესენიც ჩემსავით. ღასდევენ კოღოს, კალიას, ბუზებს. იჭერენ და აჭერინებენ თავიანთ შვილებს. აგერ ჩვენი დერეფნიდან გამოსრიალდა ჩვენი «კუდ-მაკრატელა». თავის შვილებს ფრენას ასწავლის, ნადირობას, საკვებავის შოვნას. რა კარგები რამა სართ, ჩემო ჰაწაწინა მერცხლებო! აგერ დედამ ერთი ბარტყი გადააფრინა ღობეზე! აგერ მეორეც! ჯან, მესამეც, მაგრამ ამ საცოდავს ფეხი გაეხლართა ღობეში: მისი დედა ჭყივის, ყვირის, შველასა მთხოვს. მეც მარდათ გადავხტი, გავანთავისუფლე იგი განსაცდელისაგან, ჩავაბარე თავის დედას და ამ სასისარულო ამბის შესატყობინებლათ გავექანე შინისკენ. მაგრამ აქ ჰირს კატა მეცა: ჩვენს კარებზე ჩარდახიანი ურემი იდგა, ჩვენ «კვირტა» ცხენსა კაზმავდენ და დედაჩემიცა ტიროდა. ცოტასანს შევდექი... მივისედ-მოვისედე. დედას გზა აუქცია და ჰირდაჰირ სახლში შევარდი ამბის გასაგებათ... უფროსი ძმა ბარგს ალაგებდა, შუათანა ტანისამოსს იცვლიდა და უმცროსი-კი ცრემლით დასველებულ თვალებს იწმენდდა ახალუსის სახელოთი... ის ჩემ დანახვაზე უფრო ატირდა და მეც საშინე-

ლი ღრიალი მოვრთე. დღეს ესენი ქალაქს მიემგზავრებიან და მე-კი აქა მტოვებენ. ვიტირე, ვივაგლახე და ტირილით დაოსებული დავეცი ტახტზე და მიმძინებოდა კიდეც. ეტ-ყობა ბევრსანს მძინებოდა, რადგანაც მზე ჩასვლას აპირებ-და და სახლში ცოტა არა ჩამობნელებულიყო კიდეც. მი-ვისედ-მოვისედე, ავათვალ-ჩავათვალიერე სახლი, გავარდი გარეთ... არავისი წაწანი აღარ არის. შავუვირე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი; ჩემს უვირილზე საქათმიდან ჩვენი გამდელი «ურუ სალომე» გამოვიდა და ამასლა ჩამოვეკონწიალე კისერზე.

— სად არის დედა? სად არიან ჩემი ძმები? ვუუვირი რაც შემიძლიან სალომეს. ნიშნათ თანაგრძნობისა ამან მიმიკრა მაგრათ გულზე და მანუგეშა იმითი, რომ დედა ზეგ დაბრუნდება და შენი ძმები-კი ქალაქში დარჩებიან, რომ «ძწავლულები» გამოვიდენო. ეს დრო თავისდღეში არ და-მავიწყდება... ეს ვაი-ვაგლახის წუთი... ეს გულ-საკლავი წუთი.. დავრჩი მარტოთ-მარტო... აღარც დედა, აღარც მა-მა, აღარც ძმები..!! შევჩერებივარ მხოლოთ ჩემს გამდელს, ჩემს «ურუ-სალომეს», ჩემს კარგს დედობილს... ესეც მევ-ლება თავს, მიალერსებს, მანუგეშებს, მაგრამ განა დედო-ბას გამიწევს ვინმე? განა დედასებურათ მიალერსებს ვინმე? ოჰ, ჩემო დედა! ჩემო კარგო დედავ! მოდი ჩქარა აქ, მოდი შენ შვილთან, დაელაპარაკე, აკოცე შენს შვილს, გავწივი მე, მაგრამ პასუხი არსაიდამ არ მესმის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ქალაქიდან დაბრუნდა.

დედაჩემს ორი კვირა მოუგვიანდა ქალაქში... როგორ გაირ-ბინა ამ დრომ ამისი-კი რა მოგახსენო, მაგრამ, მე კი სულ გა-მოვიცვალე ამ ხნობაში: ლოუებმა ფერი დაკარგეს... ხალისი გადამეყარა გულიდან... თვალები მეწოდა ბევრი ცრემლების დენით და არაფერი არ მიზიდავდა... დასწყევლოს ღმერთმა, თითქო მზე ისევ ისე ანათებდა, მთვარე ისევ ისე იგზავნე-ბოდა თავის სხივებს ყველას სასიამოვნოთ, ბუნება თითქო ისევ ისე კეკლუცი და მისაზიდავი იო... ჟივილ-სივილი ისევ ისე ესმოდა ჩემს ყურებს... ჩემი მერცხალი ისევ ისე დამჭიკჭიკებდა ზევიდან, უფრო კარგათ, უფრო ხანგრძლივათ... გარეთაც და შინაც ყველა თავს მეკლებოდა... მაჭმევდენ, მა-სმევდენ; არაფერი არ დამკლებია ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ჩემს თავს მაინც უნუგეშოთა ვთვლიდი, სიხარულის სხივი ჩემს გულს აღარ ეკარებოდა

ბევრსანსაც ვიქნებოდი ამ მდგომარეობაში და იქნება უარესიც დამმართნოდა, რომ ერთ დილაზე, როდესაც მე გამომეღვიძა, დედა ჩემი ჩემს გვერდზე მწოლარე არ შემე-ნიშნა. წარმოგიდგენიათ ეს სიხარულის წამი? ეს ბედნი-ერება? ეს მზე და მთვარის უეცარი გამოშუქება!? თქვენი-კი რა მოგახსენოთ და მე-კი წარმომიდგენია, მიგრძვნია კიდეც ეს, მაგრამ სიტყვა არა მაქვს ამ მდგომარეობის გამოსა-სატყვათ. დედაჩემი წუხელის მოსულა, მე მძინებია და ასე-

თი ბედნიერი დილა გამთენებია დღეს. მოკცნის დედაჩემი, ვკოცნი მეც! ტირის დედაჩემი, ვტირი მეც... ვერაფერს ვეუბნებით ერთმანეთს.. ვერ ვუსიარებთ ერთმანეთს ვერც მწუხარებას, ვერც სიხარულს.

—ჩემო კარგო, ჩემო შვილო, ჩემო ნუგეშო! მესმის ეს სანეტარო სიტყვები და ახლაც კი, ამოდენა კაცი წამოვიზარდე და ჩემს ხსოვნიდან არ იკარგება ეს დედის ნანინა, დედის ალერსი. ბევრსანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ ჩვენს «ერუ-სალომეს» არ გამოვერკვიეთ. სამოვარი მაგიდაზე ჩუხჩუხებდა. აკდექით და შევატუეთ, ამდენი-სანი ლოგინში არასოდეს არ დავრჩენილვართ. მზეს კარგა მაღლა ამოეყო თავი და თავისი სიცხიანი სხივები მიფანტ-მოეფანტა... კალოს უქცევდენ კიდეც. იქ საქმრობა იყო და ჩვენ-კი ეხლა უნდა დავლიოთ ჩაი. და იცით ჩაის რა უნდა შევატანოთ?—დედაჩემმა ბუბლიკები მოიტანა ქალაქიდან და ისა! ჩაი რომ გავათავეთ, დედამ ჩამაცო ქალაქიდან მოტანილი ბლუზა, ზოლ-შემოვლებული ჩუსტები, მიმატრიალ-მომატრიალა, ერთი ჩამკოცნა და მითხრა: «ვიჭ, რა მშვენივრათ გიხდებაო, მშვიდობაში ჩემო დამტირებელოო!» მე ვიცოდი, რომ წინანდელი ტანისამოსი უფრო კარგი იყო, მაგრამ კრინტი ხმაც არ დამიძრავს ამის შესახებ. განა, ჩემი წუნიაობით დედაჩემს გავაბოროტებდი!

ჩემი ახალი ცხოვრება.

დავრჩით ეხლა მე და დედაჩემი. დედაჩემს მზე და მთვარე ამოსდიოდა ჩემზე... სულ ჩემს ცქერაში იყო და შინიდან გარეთ არ მიშვებდა. პირველ ხანებში არც მე მინდოდა მოვშორებოდი დედაჩემს, მაგრამ ხანდახან-კი მომინდებოდა ხოლმე ტოლ-ამხანაგებში გარევა, იმათთან თამაში, გავლაგამოვლა; ჩვენი «კვირტა» ცხენის კუნტრუში, როდესაც ნახირში გააგდებდენ ხოლმე, მაგრამ ცოტა არა დედის ხათრიც მაკავებდა და ცოტაოდენი შიშიც—რადგანაც გამეგონა რომ მინდვრებში და ჭალებში ბევრი ავი სული დათარეშობს და ტუე მგლებითა და დათვებით სავსეაო. ასეთი ეოფა ცოტა არა მოსაწყენი იყო, ავ-ხნიანი და ნებიერიცა ვხდებოდი.

—შენ, შვილო, გარეთ რომ გახვიდე, ცუდი ბიჭი დადგები, გინებას ისწავლიო,—მეუბნებოდა ხოლმე დედაჩემი. ასე მარტოობაში ვიზრდებოდი მთელი ერთი წელიწადი და ბევრსანსაც გაგრძელდებოდა ჩემი ასეთი ეოფა, ნუგეშათ თანდილაანთ პალიკო რომ არ გამომჩენიყო და არ დავეხსენი ამ მდგომარეობიდან.

პალიკომ პირველსანშივე ძალიან შემაუვარა თავისი თავი და მინდა გაგაცნოთ კიდეც ის. ჰა, გინდათ თუ არა რომ გაიცნოთ? მითხარით და? თუ გინდათ აი მოგიყვებით იმის ამბავს. პალიკო გახლდათ ჩემსავით უდროოთ დაობლებული,

ერთათ ერთი შვილი ნათლიდედა ნინუასი, წვითა და დაგვით გამოზრდილი ბიჭი. ხელობაზედაც მიაბარეს — სამი წელიწადი და ოთხი თვე თავისი ნათლიას სადურგლო-სახელოსნოში იყო შაგირდათ, მაგრამ მამის სიკვდილს შემდეგ დედამ სახლში დააბრუნა ოჯახის მოსავლელათ. ეხლა ჰალიკო ოცი წლისაა, მაღალი, ხმელ-ხმელი ბიჭი· წვერ-ულვაში ახლათ ამოსდის და მისი შეხედულობა მე-კი მომწონს და თქვენი-კი რა მოგახსენოთ. რა ვიცი იქნება თქვენ უფრო უკეთესი მეგობარი გეაგდეთ, მაგრამ ჩემი ჰალიკო მე უველას მირჩევნია, ჩემს დედასაც ძალიან უყვარს ის. თუმცა ჰალიკოს იშვიათათ ეცალა ხოლმე, მაგრამ ჩაიგდებდა დროსა თუ არა, მაშინვე ჩვენკენ გადმოირბენდა, გამიძღვებოდა წინ და მთელს სოფელს შემომარონინებდა ხოლმე. ეს ჩემი ნამდვილი მფარველი ანგელოზი იყო. არავის დაეჩაგვრინებდა ჩემს თავს და, უნდა გამოგიტყდეთ, მე თვითონაც არავის ვაძლევდი მიზეზს, რომ ჩემთვის ავი თვალით შემოეხედნოს. ჰალიკო ხომ ანგელოზი იყო და ანგელოზი და ნუ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენი სოფლის დიდი, თუ ჰატარა მის მზესა ფიცულობდა და დედ-ჩემიც მინდობილი იყო იმაზედ. მთელი წელიწადი ასე ახლო მახლო დავდიოდით ხოლმე და არაფერი ისეთი არა შემხვედრია-რა, რომ შემეძლოს გაგიზიაროთ რაზე.

მე და ჰალიკო დღეობაში მივდივართ.

მაგრამ დადგა მაისი — ეს ვარდისა და იის თვე. დღეობები ძალიან გახშირებულია. საუდარი არ არის ჩვენი სოფლის არე მარეში, რომ დღეობა არ იყოდეს, მაგრამ ამაღლების დღეობას-კი ვერც ერთი დღეობა ვერ შეედრება, ეს სწორეთ, თუ ხსოვნამ არ მიმტყუნა, 12 მაისს უნდა ყოფილიყო. დედაჩემი რაღაც ფაცი-ფუცში იყო; წინადღით დამირეცხა, დამიკერა, თავი დამბანა, ჩვენი ნათლიდედისაგან გამოგზავნილი ჭრელი წინდები დამატოლა ფეხებზედ და, როდესაც დარწმუნდა, რომ კარგათ მომივიდა, მიმიკრა გულზედა და ხალისიანათ გამომიცხადა:

— «ხვალ შენა და ჰალიკო ამაღლების ეკლესიაში წადით სალოცავათაო. ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს და ნეტარებას! «ხვალ მე და ჰალიკო დღეობაში მივდივართ ახალ ტანისამოსში გამოწყობილი! ჩემმა დედამ იმ ღამესვე ჩამოქნა რამდენიმე სანთელი, ქაღალდში შეახვია საკმელი და მითხრა: «ეს სანთლები «ფუფალას» დაუნთე და შენი ძმები შეახვეწეო! გამიშალა ლოგინი, ჰირჯვარი გადამსახა და ისე ტკბილათ დამეძინა, რომ მეორე გვერდზედ არ გადავბრუნებულვარ.

გათენდა ეს სანეტარო დილაც. მე და დედაჩემი დიდი-ხანია ფეხზე ვართ. მაისის მზეს ეს ეს არის ამოეყო თავისი ბრჭყვიალა სახე და ძლიერი სხივებით შეეღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ლორწომა»*) კლდის წვეროები. კარგი სანახავია ამ დროს ეს დალოცვილი მნათობი. მზიალულათ ამოიჭვიტება და გაღიმებული სახით ესალმუნება ქვეყანას! აღვიძებს ყველას, აფშვნეტინებს თვალებს, უნაწილებს ყველას მოწყალებას, და მერე მიდის სულ მაღლა — მაღლა, უფრო აძლიერებს თავის ძლიერ სხივებს და ნელ-ნელა ეშვება ძირს, მიდის მოსასვენებლათ, რომ სხვებსაც მისცეს მაგალითი მოსვენებისა! კარგი რამ არის, კარგი, დედაჩემივით კარგია და ამიტომ აკი ყველა «მზესა» ფიცულობს ისე, როგორც მე დედას ვიფიცამ ხოლმე! სწორეთ ახეთივე დილა გაგვიფენდა მე და ჰალიკოსაც 12 მაისს. მე მარდათ წამოვდექი; ჩვენს ჩუხჩუხა წყაროს ჰირი მივუშვირე დასაბანათ და გაგრილებული და ხალისიანი შევნაურდი კიდეც. დღეს დედაც ძალიან მზიარულათა მყავს. ქალაქიდან დედაჩემს ჩემი ძმებისაგან კარგი ამბავი მოუვიდა. დასწყევლოს ღმერთმა—არ ვიცი რა ამბავია ჩემს თავს: ასე მზიარული ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ, ასეთი ბედნიერი! ერთს ალაგას ვერ დამიყენებია ჩემი თავი! მივრბივ-მოვრბივარ, დავხტი, ვცუნცრუკობ, ყველასა და ყველაფერს სალამს ვაძლევ. დღეს მინდა, რომ ყველა ჩემსავით ბედნიერი იყვეს, ყველა კარგათ იმყოფებოდეს. აგერა ჩემი ჰალიკოც. ჩვენი «კვირტა» მოჭყავს შე-

*) „ლორწომა“ კლდეს—უწოდებენ წმიდა სამების ოქროს კარიანის კლდეს, სოფ. ალევში, დუშეთის მაზრაშია, ქსნისა და არაგვის შუა.

საკაზმავათ. ეველანი გარეთ არიან; ეველა ჩვენ შემოგვცქერია. დედა რაღაც დარიგებას აძლევს ჰალიკოსა. მე-კი ეხლა ჩვენს ქედანა მაღლს ვეთამაშები. «კვირტა» უკვე მზათ არის. ჰალიკო გამოეწეო ახალ ტანისამოსში და მოხდენილათ მოახტა «კვირტას», მიატრ-მოატრიალა იგი, მიიუვანა ერთს კუნძთან და მითხრა: «უკან შემომიჯექიო. შევახტი მეც, მაგრა მოვეჭიდე ჩემს ჰალიკოს და გავუდექით გზასა. დედამა და «ურუ-სალომემ» გზა დაგვილოცა.

ამაღლების ეკკლესია.

— ამაღლების საუდარი ჩვენი სოფლიდან ორი ვერსი რომ იუვეს, მეტი არ იქნებოდა ჩვენმა «კვირტამ» ერთს თვალის დახამსამებაში აგვიუვანა ამ მშვენიერ ეკლესიაში. თვითონ ჰატარა ეკლესიაა, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვათ დანგრეული საუდარი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მდებარეობა მისი მეტის-მეტათ კარგი რამ იუო. არ ვიცი წარმოდგენილი გაქვთ თუ არა, ერთი ხუთი კალოსოდენა ალაგი — სწორეთ ამოდენა უნდა ეოფილიუო ამ საუდრის გარემო. თვითონ საუდარი ვაკე ადგილასა დგას ერთი უშველებელი მუხის ძირში. თვით შუაგულ საუდრის ნანგრევიდან ერთს ხესაც ამოუუვია თავი, მაშინ ეს ხე აუვავებული იუო და, როგორც ჰალიკოსაგან გავიგე, ტუემალი უნდა ეოფილიუო; გარშემ საუდარს დაბურული ტუე არტუია, მშვენიერი ჩრდილოვანი

ტეე, სადაც ფრინველებს თავისუფალი ჟივილ-ხივილი გაჭქონდათ. დავიფიცამ თუ მზემ აქ მოახერხოს ჩახედვა, ისე აკრავს ერთი-ერთმანეთს ეს ხეები.

ჩვენ რომ მივედით წირვა კიდეც დაწყებულიყო. ჰალიკომ ცხენი დაბინავა და მანამდისინ მე საყდარში შევედი, მივედი სატებთან, დავუნთე წვილი სანთელი და შევავედრე ჩემი დედა, ჩემი ძმები, ჩვენი ურუ-სალომე და ყველანი ვინც კი ენახე მომადგებოდა. თუმცა-კი ჩემთვის ლოცვა არავის ესწავლებია, მაგრამ მაინც ამ სიტყვებით მივმართე ფუფალას: ღმერთო, ძლიერო, გამოძიეანე კარგი კაცი, მიცოცხლე დედა, ძმები, ჩემი გამდელი, ჩემი ჰალიკოცა და ჩემი ქვირტა ცხენიც. ეს უკანასკნელი სიტყვები სულ მაღლა წარმოვსთქვი, დამავიწყდა, რომ საყდარში მარტოკა მე არ ვიყავი. უკან ერთი მოხუცებული კაცი მიდგა და მითხრა: «ღმერთო, შენ უსმინე ამ ჰაწაწინა ბიჭსაო». მივიხედე უკან და ცოტა არა შემრცხვა და უკან-უკან დავიწიე. წირვაც მალე გამოვიდა. ღვდელმა დალოცა ყველანი და ჯვარი გამოიტანა. ჰალიკომ ხელი ჩაბჯიდა. დამაყენა შემოსილ მღვდლის წინ და მამთხვევინა ჯვარსა. მღვდელს ხელზედაც ვაკოცე. ამანაც თავზე ხელი დამადო და მითხრა: «ღმერთმა გაგზარდოსო».

გამოვედით საყდრიდან. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ იკრიფება. სიმღერასა და ცეკვას სამზღვარი აღარა აქვს. არ ვიცოდი რომელ ჯგუფისაკენ მექნა თავი და გავმძღარიყავი ამ სანახაობითა. მალე დაიმახეს: ჭიდაობა იქნებაო და ხალხმა წრე

კააკეთა. ჯერ პატარაები აჭიდავეს და მერე დიდებმაც დაიწყეს ჭიდაობა. მე საშინლათ მეჯოდებოდენ წაქცეული კაცები და მინდოდა კიდეც მეთხოვნა პალიკოსათვისა შინ წავიდეთ მეთქი რომ აღარ შემეხედნა ზოგიერთა დასისხლიანებული კაცებისათვისა. მოვშორდი კიდეც წრეს, მაგრამ ჩემს განცვიფრებას ბოლო აღარა ჰქონდა, როდესაც შევნიშნე, რომ პალიკოს ტანისამოსსა ჰხდიდენ და საჭიდაოთ ამზადებდენ. ცოტა არ იუვეს შეკვრთი, პირისახემ ფერი იცვალა და წავიწიე პალიკოსაკენ შესახვეწათ რომ მას არ ეჭიდავნა, მაგრამ მალე დამამშვიდეს. ხერხეულაანთ დემეტრემ ხელში ამიუვანა და წამჩურჩულა: «პალიკო მოხერხებული მოჭიდავეა და მაგას ჯერ მომრევი არა ჰყავსო». აი გაირღვა წრე და მოედანზე გამოვარდა ერთი უშველებელი მკლავ-მსარ-ბეჭიანი ბიჭი. მას ჩოხა ეცვა და გული გადაღეღილი ჰქონდა, მისი დიდი თვალები, აბურძგვნილი თმა და დიდი პირისახე ეხლაც-კი მაგონდება. თითქო ჩასაულაპავათ ემებს ვისმეო, ისე დაეღო პირი და ისე იხედებოდა, მოწინააღმდეგეს ელოდა. პალიკომ ცოტა დაიგვიანა და ამ კაცს მოუთმენლობა ეტუობოდა. ხან გაითაშაებდა და ხან მიწას დასწვდებოდა, თითქო ალაგს ემებს მოწინაღმდეგის დასამარხათაო.

— ბიჭო, ჩქარა გამოიუვანეთ მოჭიდავე, მოკვდა ეს კაცი,—დაიმახეს აქეთ-იქით და შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი, მითქმა მოთქმა.—არა მგონია მაგ ლაწირაკმა მიწიდან ფეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამრევინოს ამ დევს კაცსა. ცოდოა ის ბიჭი, კარგი იქნება ტოლი ვინმე გამოუვანოთო.

მე სულ შიშისაგან ავენთე. ერთი კიდევ გადავხედე ამ «ბუმბერაზს» კაცსა და მინდოდა შემეწივლა კიდეც — რომ ვალიკო იმასთან არ გასულიყო საჭიდაოთ, მაგრამ გვიან-ღა იყო. მოჭიდავები კადეც დაემგერენ ერთმანეთს. ხან ჩასჭიდავდენ ხელს, ხან გაუსხლტებოდენ ერთმანეთს. ის უცხო კაცი ძალიანა ცდილობდა ვალიკო როგორმე ახლო მიეზიდნა და თავისი ღონით ვალიკოს მკლებისათვის ლაწა-ლუწი აეუენებინა, მაგრამ ვალიკო არ აჭევა ძის ეშმაკობას. ესე რამდენჯერმე შეტრიალ-შემოტრიალდენ. თვალით გაზომეს ერთმანეთი, ვალიკოს გრძელი ხელები ჩაეჭიდა მოწინააღმდეგის ჩოხას; დატრიალდა ბიჭი, მოიგდო კისერზე და გადმოიღო კიდეც, მაგრამ ისევ ფეხზე დადგა იგი, გამაგრდა და ჩასჭიდა ქამარში ხელი, მიიზიდა თავისთან და რომ არ გამოსხლეტოდა ხელიდან, უეჭველათ სულ მილეწ-მოლეწავდა ეს კაცი ჩემს ვალიკოს. შედგენ ცოტახანს. გაზომეს ერთმანეთი. დაიქმინა ერთი კიდევ უცხო კაცმა და წამოვიდა ვალიკოსკენ. ვალიკომ კიდევ მოასწრო ხელის ჩაჭიდვა და თვალის დახამხამებაში გამოჭერა სარმა და ეს უშველებელი კაცი დასცა ძირს. ხალხი აზვირთდა, მივარდა ვალიკოს და გამოიყვანა წრიდან. ხალხის ქება-დიდებას საზღვარი აღარა ჰქონდა. მეც სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა. ყველა აქებდა

ჩემს ჰალიკოს, უველა ულოცავდა. ქალები ულოცავდენ გამ-
ჩენს, კაცები ულოცავდენ ვაჟკაცობას და ჩემ თვალში
ხომ იგი ნამდვილ «ბაუ-ბაუ» დევათ გადაიქცა, ცხრა თავიან
დევათ. სადილათ მამუკაანსა დავრჩით. საღამოზე-კი ახალ-
გაზდა ბიჭებმა ჩვენი «კვირტა» მოკაზმეს ახლათ ამწვანე-
ბული ფოთლებითა და უვავილებით, მე და ჰალიკო შაგვსეს
ცხენზე და ჩამოგვიუვანეს სოფელში დიდის ამბით. სოფელ-
შიაც ჩამოეტანათ ჩვენი ვაჟკაცობის ამბავი და სახლში
დარჩენილი ბებრუხანეები გამოკვეგებენ. დედაჩემიც საჩქა-
როთ გამოვარდა გარეთ, უველანი შეიპატიჟა სახლში და
გაუმასპინძლდა ზედაშის ღვინითა. ჩვენსაც უველა ჰალიკო-
ზე ლაპარაკობდა და ჩემი ნატვრა ხომ მხოლოთ ის იუო,
რომ მე ჩქარა წამოვზდილიუავი და ჰალიკოს სახელი მო-
მესვეჭნა.

რა მოხდა მკათათვეში.

მას აქეთ ბევრი კოკა წყალი დაიღვარა; ბევრი რამ
ცვლილება მოხდა ჩვენს სოფელში, მაგრამ ჰალიკოს ვაჟ-
კაცობა-კი ისევ ისე უველას ჰირზე გვეკერა, მისი ღონე
«ბაუ-ბაუ» დევის ღონეთა გვქონდა წარმოდგენილი; მე ხომ
ისე ვიუავი გატაცებული, რომ სუუველას მისი სახელით
ვაშინებდი ხოლმე. უველაფერი მისი მომწონდა, უველაფერ-
ში ვბაძავდი მას, სიარული რა არის—სიარულიც კი იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებურათ დავიწყე, ენა იმისებურათ ავატიკტიკე. ყველგან არხეინათ ვიუავი, არავისი და არაფრისა არ მეშინოდა, სადაც მინდოდა ესლა იქ წავიდოდი ხოლმე, რადგანაც თვითონ ბალიკო თუ არა, მისი ახრდილი მიმიძღვოდა წინ. დედას დიდი ხანი გულიდან დარდი გადაჭეროდა და მე რაღა მქონდა დასანაღვლებელი?

მაგრამ მე ძალიან გავუტიე და ახლაც-კი ამოდენა კაცი შიშით ვიგონებ ერთს შემთხვევას, რომელზედაც უნდა გიამბოთ რამე. «კვიცი რომ დედის წინ სტუნვას დაიწყებს, მგელი შეჭამსო», რომ იტყვიან კინაღამ ის მომივიდა. თუმცა-კი მე მგელს არ შევუჭამივარ, მაგრამ დიდი განსაცდელი კი დამატყდა თავზე.

მკათათვე იყო. საორთვეოთ მოსული ჩემი ძმები დეიდას სანახავათ სხვა სოფელში წავიდენ და, როგორც ხშირათ მოხდებოდა ხოლმე მარტო დავრჩი დედაჩემთან და ჩემ «ურუ-სალომესთან». მეტის-მეტი მოსაწყენი დღე იყო ეს დღე ჩემთვის. ბუნებაც რაღაცნაირათ ამღვრეული იყო, დილიდან საღამომდის რაღასაც ჟინჟღლიანობდა. ხან წინწკლას დაიწყებდა, ხან ქარი ამოვარდებოდა და ცას ჰირს მოუწმენდავდა ხოლმე, ღრუბლებს გადუერიდა, ხან მზეც გამოიჭყეტღა თავის სამფლობელოდან, მისი სხივები ჰირს იბანდა, იბსკურებოდა წვიმის ნამში და ხან გაჭკრავდა ნამს თავის ბრჭყვიალა თვალსა და ცისარტყელათ გადაეკრობოდა ხოლმე ცის კიდეს. სოფელშიაც აღარავინა სჩანდა, რომ

ვისთანმე გულიდან გადამეყარა მოწყენილობა. გავალ გარეთ — მოწყენილობაა, შევალ შინ — ქათმების კაკანისა და ფუტკრის ბზუილის მეტს ვერაფერს მოვკრავ ყურსა. ასე გასინჯეთ ჩემს სალომეს ქაღალდის შლაში ოთხი ტუზი ამოუვიდა და მითხრა: ჯვარედინ გზაზე დადექი ამ ტუზებითა და რასაც პირველათ გაიგონებ ის გაგონილი შემატყობინეო. დედა არ მომიკვდება სწორეთ ერთი საათი ვიტრიალე ამ ჯვარედინა გზაზე და ერთი კაკალი სიტყვა არა გამიგონია-რა. მაგრამ მოაწია საღამომ და ცოტა არა ჩადრი გადიჩადა ცამ, მოიწმინდა, გადიყარა შუბლიდან ღრუბლები და განათლდა გულიც. სოფელსაც მომრაობა დაეტყო. მენახირეები მოერეკებიან საქონელსაც და მათ კუნტრუშსა და გოგმანს საზღვარი არა აქვს. ჩვენი «კვირტაც» მობრძანდა. ფაფარი სულ აწეწილ-დაწეწილი ჭქონდა, კუდი სულ გაწუწული, თითქო წყალში უბანავებიათო; ფეხები მთლათ გატალახიანებული. ჩვენებიანთ სოლომ საურველი გადუსვა ტანზე და ტალახი და მტვერი სულ ერთიანათ ჩამოაურეცინა, გაასუფთავა იგი და ძიაგდო ჩვენი ვენახიდან განგებ ამისთვის მოტანილ ბალახზე. მე ცქერათ ვიუავი გადაქცეული, შუბლი გამეხსნა და რიღასიც მოლოდინში გული სიხარულით მემსებოდა. აბა, თუ ბიჭი ხარ და ნუ გაიხარებ: სწორეთ ახლა ის ხანია, როდესაც ჰალიკო უნდა მოვიდეს და თან მწურის ჩიჩრები მომიუვანოს. კარგათ არის მიბინდებული; ჩვენ ეველანი შინ შევედით და ჩუხჩუხა სამოვარს მოვუსხედით გარშემო. ბუბლიკები დიდი ხანია აღარა გვაქვს, მაგრამ მახობლიანი ჰურითა და ეველით ხომ კარგათ ჩავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემრიელებ ჰირს! ჩაის შემდეგ დედამ სათონეში გამგზავნა სალომეს დასაძახებლათ და მის მაგივრათ-კი ჰალიკო შეშეხეჩა კარებთან. გინახამთ თუ არა ჰატრონს რომ ძაღლი დაჭვდება ხოლმე სიხარულითა და კუდის ქნევით, სწორეთ ამ საღამოს ამ ძაღლობანობასა ვთამაშობდი მე. ჰალიკოც ჩვენი კვირტასაებრ მთლათ ტალახით მოგანგლულ-�o. დედამ ჩაი დაალევინა, მე იქვე ახლო მივუჯექი და მშიერ კატასაებ თვალებში შავცქეროდი. ჰალიკომ ოდოში გადასცა სალომეს რომ მოეტუსნა და დაიწყო აქეთ-იქითური ლაჰარაკი, ბოლოს ესა თქვა:

— ხვალ თანდილაანთ დემეტრეს მამითადი ჭეავს და სანდრო დამანებე, რომ მამითადი ვაჩვენოო. მე ამ სიტყვებზე სიხარულით გული ამიჩქროლდა. თუმცა მე არ ვიცოდი, თუ რასაცა ნიშნავს მამითადი, მაგრამ ეტყობოდა კარგი რამ უნდა ეოფილიყო, რომ დედა ჩემი ასე ადვილათ დასთანხმდა ჩემს გაშვებაზე. ერთი-კი შევხტი, შემოვტრიალდი და «დილილმე — დიყიჭმეს» მახილით დავიმარი ტახტიდან, ჩექს ჭკუაში უნდა გადმოვმხტარიყავი, აკი ამიცდა ფეხი და ძირს ტეაპანი მოვიღე. ცოტა არა გვერდები მეტკინა, მაგრამ ტირილს როგორ გავბედავდი, ხვალინდელი მამითადის მოლოდინში. ჰალიკომ ჩვენსა ვახშამიცა ჭამა და ნავახშმევს «ღამე მშვიდობისა» გვითხრა და წავიდა სახლში. ურუ-სალომემ ჩვენც ლოგინი გაგვიშალა და მე და დედაჩემმა კარგი თქვენი მოწონებული ძილი გამოვაცხეთ.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)



ფარშევანგი.

ორს ჩვენგან, ათას მთის იქით, არის ერთი ბუნებით მდიდარი ქვეყანა ინდოეთი. ამ ქვეყანაში სხვა მრავალ იშვიათ ცხოველთა შორის ცხოვრობს ქათმების ჩამომავალი ერთი დიდი გუნდი ლამაზი ფრინველებისა. იმათი ფრთები და განსაკუთრებით კუდი ბრწყინავენ და ელვარებენ მზეზე, როგორც მვირფასი ქვები. ამ ფრინველს ფარშევანგს ეძახიან.

ფარშევანგი მკელ დროს მხოლოთ ინდოეთში ცხოვრობდა, იქ ეს ფრინველი წმინდანათ მიაჩნდათ და ხელშეუხებელი იყო. ინდოელები თავიანთ ეკლესიებთან ინახავდენ და მათი მოვლა ეკლესიის მსახურებს ჰქონდათ ჩაბარებული. მერე ფარშევანგი სხვა ქვეყნებშიაც წაასხეს და ახლა არა თუ ზოოლოგიურ ბაღებში, ხშირათ მდიდარ ოჯახებშიაც ჰყავთ. თვით თბილისში ბევრ გამკლელ-გამომვ-

ლელს კუკიაში, გერმანელების ეკლესიის ზემო ქუჩაში, ერთ სახლის ეზოში ენახებათ ეს ლამაზი ფრინველი. ამ ფრინველის კუდის სიმშვენიერე უველას მისკენ იზიდავს და იმის წუალობით ბევრი ვაჭრები მდიდრდებიან.

ამის ფრთებით ამკობენ ქუდებს, შლაპებს და კაბებს. ხშირათ დღესასწაულებში ნახავთ მეეტლების და ბავშების ქუდებს შემკულს ფარშევანგის ფრთებით.

ფარშევანგს უველა ამაუ, თავ-მომწონე ფრინველათ სთვლის. მართლაც არც ერთი ფრინველი არ არის ისეთი ლამაზი და ამასთანავე გაბჭრიახი, როგორც ეს ამპარტავანი ფარშევანგი. შეატუობს თუ არა რომ ვინმე დააცქერდა, მაშინვე გაშლის თავის მშვენიერ კუდს და ისე დაანახვებს, რომ მაუურებელი დასტკბეს მისი შვენიერებით.

ამ თავ-მომწონე და თავ-გამოდებულ ფრინველს, ემოდგომაზე, როცა ფრთები დაცვივა სოლმე და აღარ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავინდელივით ლამაზი, არ იამება ვისიმე ნახვა, სულ მოწყენილია და თითქოს ნაღვლობს კიდეც. სამაგიეროთ გაზაფხულზე, როდესაც შეიმკობა შვენიერი ფრთებით, მის მხიარულობას საზღვარი არა აქვს.

ფარშევანგისთანა ლამაზი ფრინველი დედამიწაზე არ მოიპოვება. არც ერთ ფრინველს არა აქვს ამისთანა სხვადა-სხვა ფეროვანი მოელვარე ფრთები და კუდი. უველა ფერები: წითელი, ლურჯი, უვითელი, მწვანე ერთმანერთთან შესამებული შეამკობენ ამ ფრინველს.

არის ერთგვარი თეთრი ფარშევანგი—მაგრამ ისინი იშვიათნი და მკირფასნი არიან.

ფარშევანგის სილამაზეს არ ეკადრება მისი უსიამოვნო და საძაგელი ხმა. ადამიანმა უნდა უურები დაიცვას მისი ხმის გაგონებაზე.

ფარშევანგები იშვიათათ ფრინავენ, რადგან მძიმე არიან. გაქცევაში-კი ვერავინ აჯობებს მათ.

ტასო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე ბატონიშვილის მიხვედრილობა.



ადირ-შაჰ სინდის სამეფოს დასაპყრობლად მიდიოდა. სპარსელ ლაშქარს გარდა ყაენს ახლდა ჭაბუკი ერეკლე ბატონიშვილი ქართველის რაზმით.

როცა სინდის საზღვარს მიადგნენ, ნახეს ერთი ქვის ბოძი, ზედ გამოქანდაკებულის ბუთითა და წარწერით: „ვინც ამ ბოძს გასცილდებ, წყეულიმც იყოს მისის ჩამომავლობით უკუნითი უკუნისამდეო“.

ცრუ-მორწმუნე სპარსელებმა ეს წარწერა რომ წაიკითხეს, შეჩვენებისა შეეშინდათ და წინ სვლაზედ უარი სთქვეს. ბევრს აგონებდა ნადირ-შაჰ მეომრებს, — ეგ წყევლა ჩვენს მტერს მოუგონია, რომ ჩვენი მოგერებული ხმალი თავიდან აიცილოსო, — მაგრამ ვერ დაიყოლია ჯარი და ადგილიდან ვერ დასძრა.

დაღონდა ყაენი, დაბრუნების მეტი სხვა გზა აღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჭქონდა. ჯავრიანი თავის კარავში იჯდა, როცა ეახლა ერეკლე ბატონიშვილი და მოახსენა:

— ნუ ნაღვლობ, ხელმწიფეო! დავშალოთ ეგ ბოძი, ქვები სპილოებს ავკიდოთ, გავიგდოთ წინ და ჩვენც წავყვეთ. ეგრე ვიაროთ სადამდისაც გენებოს და რადგან ბოძს აღარავინ გასცილდება, წყევლაც არავის ეწევაო.

მოეწონა ნადირ-შაჰს ერეკლეს აზრი, გახარებულმა თვალებში აკოცა და ბძანა მისი რჩევა მაშინვე აესრულებინათ. ჯარმაც,— რაკი ნახა რომ შეჩვენების ბოძს აღარ გასცილდება,— უშიშრად გასწია წინ.

ალ. სარაჯიშვილი.

ჩემი ნამდვილი მეგობარი.



უარშან ზამთარში მგლები თავზარსა სცემდენ ხალხს: შეუპოვრათ შედიოდა იმათი ხროვა ღამ-ღამეობით სოფლებში და საზარელი ყმუილით აშინებდა ხალხსა და საქონელს. მგლები ხშირათ ეზოებშიაც ვარდებოდენ და ცხენებზე იწევდენ...

მე მიმიწვია სამმა სოფელმა და მთხოვა როგორმე გამეთავისუფლებინა ისინი ამ მხეცებისაგან.

მე მეავდა ერთი შესანიშნავი ძაღლი, დინგო, მეტათ ლამაზი, «კალმით დასატული», და არა უბრალო ძაღლი! წავიყვანე ის და წავედი, თან წავიღე ბლომათ მაგარი ჭრუჟინებიანი რკინის ხაფანგები, რომელნიც, თუ არ საკუთარი გასაღებით, სხვით არაფრით არ გაიხსნებოდენ, როცა დაეცემოდენ.

ერთ საღამოს წავედი ცხენით ხაფანგების დასათვალიერებლათ. ჩემი დინგო შინ დავტოვე, რადგანაც მგლები ღამ-ღამეობით მეტათ შეუპოვრები და გულადები ხდებიან და შესაძლებელი იყო დინგო იმათი წერა გამხდარიყო; მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ადვილათ შემეძლო გავქცეოდი იმათ ცხენით. დაბინდებისას მივედი დანიშნულ ალაგას, ჩამოვხტი ცხენიდან და დავუწყე თოვლს გადაურა ხაფანგების გარშემო. ამ მოძრაობაში დამცხა, ჰალტო გავიხადე და შორი-ახლოს მივაგდე. არ ვიცი როგორ მოხდა ეს, მაგრამ გაუფთხილებლობით-კი ხელი ხაფანგში შევუყავ. ხაფანგი დაეცა და ჩემი ხელი მის კბილებში მოჰყვა, ერთი სიტყვით, მე თვითონ გავები მახეში! მახის გაღება ხელით არ შეიძლებოდა, გასაღები-კი ჰალტოს ჯიბეში მქონდა. ვცდილობდი ხელით ან ფეხით მომეწია ჩემკენ ჰალტო, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ამ ხელ-ფეხის ფათურში, უცებ ცალი ფეხიც მეორე ხაფანგში მომყვა; ისიც დაეცა და მაგრათ დამიჭირა. ახლა-კი ნამდვილი ტყვე გავხდი, დავეგდე გულდაღმა და განძრევის თავიც აღარა მქონდა.

— რაღა მეშველება-მეთქი,—ვფიქრობდი ძწარეთ დაღონებული.—მებნას არავინ დამიწყებდა, რადგანაც ხშირათ გავდიოდი ხოლმე სოფლიდან მთელ ღამეობით...

აცივდა თან-და-თან, ყინვამ მოუჭირა თავისი მუხრუჭები და კბილი-კბილს მაცემინებდა. ჩემი ცხენი განცვიფრებული შემომცქეროდა და ჩუმ-ჩუმათ ხვიხვინებდა. უცებ მან მორთო ფეხის ბაკუნი, ფრთხვინვას მოუმატა, ნესტოები გაიღრინა და ჩემკენ მოიწია! შორიდან მგლის ყმუილი შემოესმა!.. მას მოჰყვა მეორე... მესამე... მეოთხე.. თვალებში სულ მგლების ხროვა მებლანდებოდა! მართლაც, ცო-

ტა ხანს შემდეგ, თოვლის შუქზე გავარჩიე ისინი, გაუბედავათ და სიფრთხილით მიახლოვდებოდენ და ჩემ გარშემო ცუცქდებოდენ.

მე შევუვირე, რაც ძალი და ღონე მქონდა. შეშინებული მგლები მი-მოიფანტენ აქეთ-იქით, მაგრამ ისევ ძალე მეწვიენ... საწყალი ჩემი ცხენი შიშისაგან კანკალებდა, თითქო გააცივაო და გაბრაზებული ჩლიქებსა სცემდა დედამიწაზე... მე თან-და-თან ღონე მელეოდა, სასოწარკვეთილებაში ვარდებოდი, თითქო ვიხრჩობოდი... მგლებს-კი გაბედულობა ემატებოდათ... მე კარგათ ვხედავდი იმათ დაღებულ-პირებს, დაღრჭენილ-კბილებს და ანთებული თვალების ბრიალს!.. უცებ ბნელაში გამოჩნდა კიდევ ერთი უშველებელი შავი მგელი, რომელმაც საშინელი ხმით შეუმუვლა. ამ ხმაზე მთელი ხროვა ერთბაშათ გაიფანტა; ახლათ მოსული მგელი გამოექანა პირდაპირ ჩემკენ, მომვარდა და... დამიწყო ცხვირზე, ეურებზე, ლოუებზე ლოკვა, ლაქუცი და თავისი ბანჯგვლიანი გრუზა თავით მომესუტა!..

— დინგო!.. დინგო!.. შენა ხარ, ჩემო საუკარელო დინგო?

თითქმის ავტირდი სიხარულით!

— ოჰ, დინგო! ჩემო დინგო! მოიტა ჩქარა ჩემი პალტო!

დინგო მიხვდა, რომ მე რაღაც მინდოდა. იმან შემოშირბინა გარეშემო და კბილი მოსჭიდა ჩემ თოფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ არა, დინგო, არა! — ვუთხარი თავის გაქნევით: — ჰალტო, ჩემო დინგო, ჰალ-ტო!

დინგო თვალებში ჩამაცქერდა, კარგა ხანს მიყურა და მერე ქუდი მოძირბეინა. მე ისევ თავი გავუქნიე. მაშინ იმან მხიარულათ შეჭყეფა, დაავლო ჰირი ჰალტოს და მოგითრია. მე რომ თავი დავუქნიე და ვუთხარი: «ჭოო, ჩემო დინგო, სწორეთ ეგ შინდოდა-მეთქი!» მის აღტაცებას საზღვარი აღარა ჭქონდა, სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა.

საჩქაროთ გავაღე მახეები გასაღებით, ჩავიცვი ჰალტო, მოვახტი ცხენს და გავქუსლე შინისაკენ! დინგოც დამედევნა, მაგრამ გზაში უკან ჩამოძრჩა და ბნელაში თვალიდან დავკარგე. მე მივხვდი, რაშიაც იყო საქმე: მას შემოესმა მგლების ყმუილი და გამოუდგა, რომ ბოეშორებინა ჩემთვის.

შინ მიამბეს, რომ დინგო უჩემოთ კინაღამ გაგიყებულიყო. ის თურმე საშინელი წკმუტუნითა და ყმუილით დარბოდა გაცოფებული ქუჩა-ქუჩა, არავის ყურს არ უგდებდა და ბინდისას საღღაც გადაიკარგა.

იმ ღამეს რომ დავწექი და წამთვლიმა, კარებზე რაღაც ფხაჭუნი შემომესმა. წამოვდექი და კარები გავაღე. კარების საფეხურთან თოვლში გაშხლართულიყო საცოდავი დინგო!.. მის გარშემო თოვლი სისხლით შეღებულიყო... მგლებისაგან დაღრღნილს და დაკაწრულს არ დავვიწყებოდი; გაჭირვებით მობობღებულიყო ჩემამდი, რომ ჩემ თვალ-წინ დაელია სული! თავის ჰატრონთან მომკვდარიყო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დინგო! ჩემო მხსნელო დინგო-მეთქი, — რომ დავუძახე, მან მხიარულების ნიშნათ ძლივ-ძლიობით შეათამაშა კუდი.

მე იმას მოვუარე, დიდი გაჯირვებით მოვარჩინე და ახლაც განუურელი მეგობრები ვართ მე და დინგო!..

თეოფ. კანდელაკი.

(ტომსონით)



ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო გასართოგი.

პატარა ძაღლს ყელზე ბანტი რომ შეაბეს ძალიან გადიდგულდა, შეჯდა წყლით სავსე კასრის პირას და ამაყათ იწყო ცქერა.



აქეე ახლოს იდგენ მისი ძმა და მისი ბიძა. შეჰყვირა მათ: თქვენ ხომ მხედავთ მე აქა ვარ, რატომ თაყვანს არა მცემთო! ამ დროს მას ფეხი აუცდა და უცბათ წყალში ჩავარდა. ამნაირათ პატარა ძაღლმა კასრის წყალში იბანავა.

იოსებ ნოზაძე.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი კოტე სესნიაშვილისგან).

ქოთანს ქოთნის სარქველიც გასტეხსო.

—

ვირს კურტანი უხდებოდა, ბედაურსა კარგი მჯდომი.

—

ზღარბს ეკალი ვერ უჩხელეტს, თითონ ეკლიანია.

—

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი მისგანვე).

ბალი ბლითა მოსხმოთარე, ბალს მებალეს უმშვენებდა.

—

არითმეტიკული ამოცანა.

(წარმოდგენილი მისგანვე).

მაშინ უთხრა შვილს: მე შენზე სამჯერ დიდი ვარ. ახლა არა მიშ ეს-რა, შრომა შემიძლია, მაგრამ 36 წელს შემდეგ უკვე მოე-

ხუცდები, ჯანი გამიტყდება და ნახევარზე შენი შესანახი გაებდები. აბა გამოიცანი, რა ერთი წლისა ვიქნები მაშინ და ან შენ რამდენისა იქნები. აბა, თქვენც ყმაწვილებო, შემიტყეთ მამა რამდენი წლისა იქნება და შვილი რამდენ სა ეყოლება?

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

პირველი ჰფრინავს საზრდოსთვის
როდესაც ლამის ქამია,
დანარჩენი ოთხ-ფეხია,
ულელში შესაბამია.
მრთელი რისგან შესდგება?
აგურია და ლამია.
ზამთარ-ზაფხულს ისე მიყვარს,
როგორც ერთგული ძამია.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მისგანვე).

გრძელს და ქვეშიანს გზაზედა
ლომი მირბის ღრიალითა,
რაც კი გზაში რამ შეჰხვდება
თან წაიღებს სრიალითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვარ ტყის ნადირი,
არც ქვე-მძრომი მიწის მწერი,
სახლში ვზიავარ უდარდელათ,
თავზე მაფარია ჭერი.
ჩემს ენაზე ელაპარაკობ
და ხანდისხან კიდეც ვმლერი.
ყველამ იცის რომ ჩემი თქმა
მართლათ არის დასაჯერი,
ჩემი შეკითხვით კეთდება
შინ და კარში ყველაფერი.

(წარმოდგენილი ნიკ. წინამძღვრიშვილისაგან).

ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე,
სოფელში გამოველ, ვაჭრობა დავიწყე.

წითელი ქვევრი, შავი სარქველი
შიგ ჰყრია ხოშორ-ხოშორი.

ულულოსა, უგულოსა, თავზე ცეცხლი უკიდია.

სიმღერა.

ვალერსები, შევხარი
დილას, ამოსვლას მზისასა.
ნეტა ვერ შეევსწრობია
დამარცხებასა მტრისასა?
გაჰლეიძებოდეს ქართველსა,
ვადას ჰფერაედეს ხმლისასა;
ნათელი გადაჰდიოდეს
ლაქვარდს იერის ცისასა.

ბაჩანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„22 ოქტომბრის მსხვერპლს

ყმანვილ ანდრიას!“

ასე ეწერა ყვილა გვირგვინებს, რომელნიც რიგ-რიგ ელაგნენ ყვავილებით სავსე ანდრიას სპეტაკ თეთრ კუბოს. თვით ანდრია მშვენიერი, თხუთმეტი წლის ჭაბუკი, ტკბილად მძინარე ბავშვივით განისვენებდა ყვავილთა შორის და არ ესმოდა გულის გამგმირი მშობლის კვნესა-ვაება!

— შვილო,—შეშლილივით ჩასტუტუნებდა დედა ანდრიას მცხედარს.—აი ვარდები, წითელი, სურნელოვანი ვარდები, რომელნიც შენ ისე საშინლად გიყვარს, რატო არ სუნავ, რატო გულში არ იკრავ მადლობის ნაცვლად იმათადჰი, ვინც შენ ესენი მოგიძღვნა?.. რას მოღრუბლულხარ?.. რატო ჩვეულებრივის ტკბილის ღიმილით არა გაქვს განათებული ჩემთვის უფასო პირი-სახე?.. ხმას არ მცემ?.. შვილო ანდრო, გესმის რა ჰქვნი? რა დღე დააყენე შენ ვაგლახ დედას?.. წუხელის პირველად შენ სიცოცხლეში რატო არ იყავ ჩაკრული ჩემ ძუძუებში?.. ვინ მოგწყვიტა, კოკობო ვარდო, ჩემო ტკბილო მოღუღუნე მტრედო... ჩემო ერთად ერთო სასოებავ და იმედო... ჩემო სიბერის ყავარჯენო, ჩემო მომავალო ჭირისუფალო!

ასე გმინავდა ანდრიას დედა და დაჟინებით ჩაჰყურებდა შვილს ძვირფას სახეში. ხანდახან უნდოდა ხელიც შეეხო, შაეს ქოჩორზედ

ხელი გადესვა, მაგრამ ეს შეხება გაქვავებულის გვამისა შიშის ზარს სცემდა და ხელი უკან მიჰქონდა. დედის გულში ის იმედი რომ შესაძლებელი იყო ანდროს თვალები კიდევ აეხილა, ტკბილად და სიყვარულით შეეხედნა იმისთვის, ჯერ არ გამქრალიყო და ეს შეხება კი ამ იმედს ულმობელად აქარწყლებდა, სინამდვილეს თავისის გაყინულობით ხელ-შესახებათ ხდიდა, სიგიჟემდინ მიჰყავდა, გონებას უბნევდა.

„განუსვენე, უფალო, სულსა ახლად შესვენებულის ანდრიასასა“... მოისმა გლოვიარებით საესე ხმა ანდერძის საგალობელისა და ეაგლახი დედა გამოფხიზლდა, თავში შემოიკრა, თმები დაიგლიჯა.—მაშ საუკუნეთ განისვენე? მაშ იმედი აღარ უნდა მქონდეს, რომ ჩემი ანდროც თავის ქვეყნის სიამაყეთ გარდიქცევა? რომ ისიც სახელს მოიხვეჭავს, დედას ასახელებს?! საუკუნოთ განისვენეო! ვაი, დედა შენს, ვაი დედა შენს!—ყველა აქვითინდა, ყველას გულმა ბანი მისცა მშობლის ტანჯულ გულს და საერთო ვაება გაისმა უდროოთ გაგმირულ ჭაბუკის გარშემო. „წყეული იყვეს, წყეული იყვეს, ვინც შენის უმანკო სისხლით ხელები შეიღება! წყეული იყვეს!“ ყველას აღშფოთებულის გულიდგან გადმოსკდა.

„წყეული იყვეს!“

მძლავრად და ზარიანით წკრიალა ხმით გაიმეორა უკანასკნელი სიტყვები ვიღაც „სალდათმა“ და მცხედრის თავთან გამოიჭიმა. „წყეული იყვეს, წყეული იყვეს!“ სთქვა ამან კიდევ და ხალხმა ერთხელ კიდევ განიმეორა: „წყეული იყვეს!“ სალდათი მერე მშობელს მიუბრუნდა და ლმობიერად მიუსამძიმრა:—ნუ სტირი მშობელო საღმრთოდ მოტანილის უმანკოებისა, ნუ სტირი! ეგ ერთი იმ ათას სხვა საღმრთოთა ნაწილია, რომელიც ღვთაებამ მსხვერპლად შეიწირა და რომელთა სისხლი უმანკო კაცთა განთავისუფლებისათვის დაინთხა! იამაყე, მშობელო, ნუგეში იეც, რომ სახელი შენის ტანჯულის შვილისა სისხლის ასოებით ამოჭრილი იქნება იმ დაფაზედ, რომელიც

წაუშლელად გამოიჭედება ხალხის გულში და მტარვალთა გასაგმირ ლახერათ გარდიქცევა! ნუგეში იეც ვითარცა მარიამმა და მისაეით დაიჯერე რომ სიკეთილი მხოლოდ სიკეთილითვე დაითრგუნება და წრფელი სისხლი სიმართლისთვის დაქცეული მხიარულების და თავისუფლების ემბლემათ გარდაიშლება! მაშ გაუმარჯოს სიმართლეს! გაუმარჯოს თავისუფლებას!—და ამ სიტყვებთან ერთათ ყმაწვილმა მხედარმა მცხედარს წითელი დროშა გადააფარა.

ექ. გაბაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვაროსნული გალაშქრება ბავშებისა.

(ე. სისოევისა)

VII *)

პირველი განსაცდელი.

ვენიერ ლამეს შემდეგ დადგა კიდევ უფრო უკეთესი დილა. მაგრამ შუადღისას შორს ცაზე გამოჩნდა პატარა ღრუბელი, რომელიც სწრაფ იზდებოდა და ეფინებოდა ცაზე. ჰაერი ისე დამძიმდა რომ კაცს სუნთქვა უძნელდებოდა. ქარი მოულოდნელათ ამოვარდა და ზღვამ საშინლათ ღელეა დაიწყო. იალქნები მაშინვე ჩამოხსნეს, ტალღის ზეირთები გემებს თავს უვლიდენ, შორს საშინლათ დაიქუხა; ქარის ზუზუნი ამ საშინელ ჭექასთან ერთათ შიშსა ჰგვრიდა ბავშებს.

მეზღვაურები არა ჰკარგავდენ დროს და ემზადებოდენ თავიანთ საშინელ მტრის, ღზვის, შესახვედრათ. ისინი კატებსაეით

*) იხილე „ჯეჯილი“ № IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცოცავდენ გემის ბოძებზე, ახვევდენ და ამაგრებდენ აფრებს, მაგრამ ქარი მაინც თავისას არ იშლიდა, უბერავდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და მიაქანებდა შორს ზღვაში.

პირველ ჭექა-ქუხილზედვე, ბავშები გამოცვივდენ ბაქანზე, შიშისაგან ფთლათ დაბნეულებმა დაიჩოქეს სტეფანეს გარშემო, ლოცულობდენ და შესთხოვდენ, რომ ეშუამდგომლნა ღმერთთან და დაეხსნა ისინი ამ საშინელ განსაცდელისაგან.

რობერტი და გენრიხი მიკუნჭულიყვენ გემის ერთ კუთხეში, ტომრებს შუა, გადაეხვიათ ხელი ერთმანეთისთვის და ბუტბუტებდენ: „დავიხოცოთ ერთათ, თუმცა კარგი-კი იქნებოდა ცა და ქვეყნის მპყრობელს ეჩვენებინა ჩვენთვის წმიდა იერუსალიმი, მაგრამ რა ექნათ, ასეთი ყოფილა ნება უფლისაო“.

სტეფანეს უნდოდა შეეკრიფა ყმაწვილები ბაქანზე ერთათ საღოცავათ; მაგრამ გემის უფროსმა გუგომ ნება არ მისცა მათ და ძალით ჩარეკა ძირს გემის ქვედა ნაწილში.

— ილოცეთ მანდ, რამდენიც გენებოთ,—მკაცრათ უთხრა მან,— მხოლოთ ჩვენ-კი ფეხ-ქვეშ ნუ გვეჩხირებით, ეს იცოდეთ დიდხანს კი მოგინდებათ ლოცვა, ვიდრე თქვენი ღმერთი გაიგონებდეს რასმე ამ საშინელ ჭექა-ქუხილში.

საშინელი ღამე გაატარეს საწყალმა ბავშებმა. საშინელება იყო არამც თუ მარტო მათთვის, დიდიხნის გამოცდილ მეზღვაურთათვისაც-კი, რომლებიც თითქმის დარწმუნებულნი იყვენ, რომ გათენებას ველარ მოესწრებოდენ. ათიევ ხომალდი ისე დაქანაობდა ზღვაში, როგორც ნაფოტები, რომლებსაც ტალღები ხან მაღლა ამოაქანებდენ და ხან ისე ძლიერათ ჩააქანებდენ ძირს, თითქოს შიგ შუაგულ ზღვაში უპირობდენ დაღუპვას.

ჯვაროსანი ყმაწვილები დაღლილ-დაქანცულნი ეყარენ ძირს და ყოველ წუთში ელოდენ დაღუპვას. ერთ ხომალდს მოეგლიჯა ბოძი, მეორეში—წყალმა დაიწყო დენა; დაუსრულებლათ ეჩვენებოდათ მგზავრებს საშინელი ღამე; ბოლოს, როგორც იყო, ქარი ჩადგა, ზღვა

დაწყნარდა და ცაზე დილის ცისკარი გამობრწყინდა. მოქანცულ-მოწყვეტილი მეზღვაურები აქეთ-იქით მიეყარენ დასასვენებლათ.

როდესაც ბრწყინვალე მზემ ამოაშუქა, საზარელი სურათი წარ-მოუდგათ თვალ-წინ: ათი ხომალდის მაგივრათ, რომლებიც ერთათ გამოვიდენ მარსელის ნავთ-სადგურიდან, მხოლოთ ექვსი-ღა დარჩე-ნილიყო; იმათაც, ზოგს ბოძი ჰქონდა მოტეხილი, ზოგს აფრები და-ჰგლეჯოდა. დანარჩენი ოთხი-კი—კუნძულ სან-პიეტროსთან, სარ-დინის მახლობლათ, კლდეებს დასჯახებოდენ და დაღუპულიყვენ; ზღვას შთაენთქა ისინი, ორი ათას ჯვაროსან ბავშით და მეზღვაუ-რებით.

რამდენი მწუხარება მოელოდა იმ საცოდავ დედებს, რომელთაც ასე მოულოდნელათ დაჰკარგეს თავიანთი საყვარელი შვილები!

VIII

გაცრუებული მოლოდინი.

„ხმელეთი! ხმელეთი!“ შეჰყვირეს გახარებულმა ნავსენებმა. ბავშები დიდი სიხარულით გამოცვივდენ ბაქანზე. რაც ტანჯვა გა-მოიარეს მთლათ დააივწყდათ. „იერუსალიმი სჩანს, იერუსალიმი, სა-დაც სცხოვრობდა და ეწამა მაცხოვარი! აღტაცებით გაიძახოდენ ისი-ნი და ჰკოცნიდენ ერთმანეთს. სტეფანემ სიხარულით აღელვებულმა დაიჩოქა და ზეცისაკენ აღაპყრო თვალები.

— ეს რას ნიშნავს? უცებ შეჰყვირა მან არაჩვეულებრივი ხმით და ისევ წამოხტა ფეხზე. იალქაზნე გამოკიდებულ დროშაზე, წითე-ლი ჯვრის მაგივრათ, ოქრომკედით ნაქარგი ნახევარი მთვარე ბრჭყვი-ნავდა.

— რისა შეგეშინდა აგრე? —მკვახეთ ჰკითხა ვაჭარმა გუგომ სტე-ფანეს.—გიკვირს რომ ახსნილია ჯვრიანი დროშა? დიდი განსაცდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგველოდა, რომ არ აგვეხსნა. თქვენ ყველას გგონიათ, რომ სირიას ეუახლოვდებით, სრულებითაც არა; ეგვიპტეს ნაპირი სჩანს და არა სირიასი. ჩვენ ალექსანდრიას ეუახლოვდებით და არა იერუსალიმს.

— მერე როგორ გაეჩნდით აქა? ჰკითხა სტეფანემ.— ჩვენი გზა სრულებით სხვა მხრისაკენ იყო. არა სჯობია რომ სრულებით არ გავჩერდეთ ნაპირთან, ვიდრე იერუსალიმამდის არ მივალთ?

— სჩანს, განგებას ასე სურდა, და იმიტომ გავჩნდით აქა,— უპასუხა გუგომ.—თვით იცი, რა საშინელი ენება მოგვაყენა ქარიშხალმა. საჭმელი სულ გამოგველია, დასალევი წყალიც, ბოლოთ ერთ დღე-ღამეს გვეყოფა... თუ პირდაპირ სირიისაკენ გაემგზავრებით— დავიღუპებით. უნდა დავმორჩილდეთ ჩვენს ბედს. რაც შემეხება მე, დიდათ კმაყოფილი ვარ ალექსანდრიაში რომ ეჩერდებით. დიდძალ მდიდარ ვაჭრებს ვიცნობ, რომლებიც ყველაფრით დაგვეხმარებიან. ჩვენი იქ დგომა ორ, სამ დღეზე მეტს არ გასტანს: იქ შევიმზადებთ საგზალსა და შევაკეთებთ დაზიანებულ გემებს, მე იმ აზრით გამოვაკიდებინე დროშა „ნახევარ მთვარისა“, რომ ეჭვი არ აეღოთ ჩვენს გალაშქრებაზე და მინდოდა ჩვენი გემები მიეღოთ საავჭრო გემებათ. ბევრი ლაპარაკი არა ღირს, რაც უნდა მოხდეს, პასუხს მგებელი მე ვიქნები.

რა შეეძლოთ საცოდავ ბავშებს? ძალა-უნებურათ უნდა დამორჩილებოდენ იმ ხალხს, რომლებმაც ღვთის სამსახურისათვის იკისრეს მათი წამოყვანა. ბევრნი წინაღმდეგნი იყვენ ალექსანდრიაში შველასა და ხმა მაღლა აცხადებდენ თავიანთ უკმაყოფილებას, მაგრამ გუგო ფიცულობდა, რომ უიმისოთ დავიღუპებითო, ამის გამო უმრავლესობა ბავშებისა მას მიემხრო. რამდენიამე საათს შემდეგ მიუახლოვდენ ალექსანდრიის ნავთსადგურს, სადაც გემებმა ჩაუშვეს ღუზა.

ბავშებს აკრძალული ჰქონდათ ნაპირზე გადასვლა. მარტო გუგო და პორკუსი წავიდენ ქალაქში, საიდანაც ძალიან მხიარულები დაბრუნდენ საღამო ჟამს.

— ჩვენი მეგობარი ვაჭრები კაი გულით დაგვიხვდენ და შეგვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდენ უხე დახმარებას, საგზლით და ფულით. მაგრამ რადგანაც დაზიანებულ გემების შეკეთება მოგვინდება ნავთსადგურებში, ამისთვის რამდენსამე ხანს დაგეჭირდება ხმელეთზე ყოფნა. პორკუსმა და მე ისე მოვაწყეთ საქმე რომ თქვენ სრულებით უვნებლათ იქნებით. ამაღამ ყველას ნაეებით გადაგიყვანთ ქალაქში. ნავთსადგურის დარაჯები წინათვე მოვისყიდეთ, ერთი სიტყვით ნურაფრისა გეშინიანთ. ჩვენი მეგობარი ეაჭრები დაამზადებენ თქვენთვის საუკეთესო სადგომს, სადაც უფრო უშიშრათ იქნებით, ვიდრე გემებზე.

მარჯვე, გაიძვერა გუგო და პორკუსმა ისე მიიბირეს საცოდავი ჯვაროსანი ბავშვები, რომ ისინი ადვილათ დათანხმდენ ყველაფერზე. დალამებისას გამოჩნდა ასიოდ პატარა ნავი, რომლებითაც ბავშვები გადაიყვანეს ნაპირზე. სამი ათას ბავშს და რამდენიმე ას მოზდილ ჯვაროსანთ წინ მიუძღოდენ სიცილიელი ეაჭრები. კაშკაშა მთვარეზე მოსჩანდენ ეგვიპტეს უმშვენიერესი შენობანი. ბავშვები ცნობისმოყვარეობით და თანაც შიშით შესცქეროდენ სახლების თანასწორ ბანებს და მაღალ კოშკებს, რომლებიც თეთრათ მოსჩანდენ ამწვანებულ ბაღებში; მათ კარგათ იცოდენ, რომ მტრების ქვეყანაში იყვენ, სადაც შესაძლებელია, სიკვდილიც მოელოდათ.

მაგრამ ჯვაროსნები ქალაქში არ წაიყვანეს. ალექსანდრია განზე დარჩა. მათ შეუხვიეს ქალაქის განაპირა აგარაკებისკენ, ადგილობრივ მდიდარ ეაჭრებთან, გუგო და პორკუსის მეგობრებთან. ერთი აგარაკიდან, რომელიც მეფის სასახლეს უფრო წაგავდა, ვიდრე კერძო კაცის საცხოვრებელს, გამოცვივდა ბრბო მონებისა. ცხადი იყო, სტუმრებს ელოდენ. მონებმა ჯვაროსნები განიერი ხეივნისკენ წაიყვანეს და შეეიდენ პირდაპირ დიდ ეზოში, რომელსაც გარშემო ხეები ჰქონდა ჩარიგებული. ეზოს შუა-გულში შადრევანი ამოჰქუხდა, ჰაერში ყვავილების სუნი იდგა. ამ ერთ ადგილს თავისუფლათ მოთავსდა ათასზე მეტი ჩვენი მგზავრებისა. სხვებსაც კიდევ ორი მახლობელი აგარაკი დაუთმეს

„ყველამ სუფთა ჰაერზე მოინდომა ღამის გათევა. სტეფანესა-

თეის ძეირფასი ხალებიდან გამართეს კარავი პირველ აგარაკში, შადრევნის ახლოს. წინანდელი 50 მცველი გარს შემოერტყენ კარავს. რობერტი და გენრიხიც კარავის ახლოს, ცხელ ქვიშაზე მიწევენ, თავით ბალიშების მაგიერათ წამოსასხმები დაიდვეს. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ლურჯი კარავივით გადაჰფარებოდა მათ თავზე. ვინც-კი ნახა ხუთი ათასი მეომარი ჯვაროსნებისა, როდესაც გაფრიალებული დროშებით და გალობით უახლოვდებოდენ მარსელს, ის არ დაიჯერებდა, რომ ეს საცოდავი, შიმშილით ღონე-მიხდილნი ბავშვნი, რომლებმაც ძლივას მოახწიეს ახლა ღამის გასათევ ადგილამდის—ისევ ის ჯან-ღონით სავსე, მამაცი ყმაწვილი ჯვაროსნები იყვენ.

— ღამე მშვიდობისა, გენრიხ,—ეუბნებოდა რობერტი მეგობარს.

—ღმერთმა, მშვიდობის დილა გაგითენოს...

— და იერუსალიმამდის კეთილათ მიგვახწევინოს,—დაუმტა გენრიხმა, თვალების მილულვით.

IX

ღ ა ლ ა ტ ი.

ქანც-მოწყეტილმა ბავშებმა მსწრაფლ მიიძინეს, აღარ მოაგონდათ, რომ ყოველ წუთს განსაცდელი მოელოდათ. არა გრძნობდენ საწყლები რომ ყოველ მათგანს თავით სიკვდილის ანგელოზი უდგა. მიწყნარდა არე-მარე. უცებ ერთმა მძინარეთაგანმა, მოზდილმა კაცმა, თავი მაღლა აიღო, დაჯდა, თვალები მოიფშვნიტა, ეითომ მოულოდნელათ გამოეღვიძა და დაუწყო თვალიერება თავის გარშემო ღრმათ ჩაძინებულ ჯვაროსან ბავშებს. მერე ფრთხილათ წამოდგა და ფეხ აკრებით გაემართა ეზოს კარისკენ. იმ დროს, როდესაც მან გამოსწია კარების ურდულს, მთვარის შუქზე ცხადათ გამოჩნდა რომ ეს იყო ვაჭარი გუგო, რომელიც ცდილობდა ფრთხილათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაელო პატარა კარი; ხმაურობაზე რობერტს გამოელვიძა. ბავშს შიშით შეაკრჭოლა და წამოჯდა. მან ვერ შენიშნა მიმავალი გუგო, მაგრამ რაღაც შიშის ზარი დაეცა. უშველებელი ეზო რობერტს ამ წამში ეჩვენა სასაფლაოთ, მძინარე ბავშები-კი მიცვალებულებათ. შეშინებული საჩქაროთ წამოწვა, დახუჭა თვალები და ისევ დაიძინა. მაგრამ საშინელი სიზმარი ეზმანა: მის წინ იდგა დედა, ცრემლიანი თვალებით და გაწეწილი თმით. „რობერტ, რობერტ,—ეუბნებოდა ის, თან მწუხარებით შესცქეროდა შვილს.— ეს რა გვიყავ? მუდამ დღე და ღამ ვტირით. მწუხარებისაგან ძილი არ ეკარება ჩემს თვალებს. ჩემო ბავშო, ნეტავ ვიცოდე, კიდევ ველირსებით ერთმანეთის ნახვას?!!.“ რობერტმა ქვითინი დაიწყო; ამ დროს მაღალი შავი აჩრდილი წამოვიდა მისკენ და ჩააცქერდა რობერტს თვალებში. მან იცნო მამა;—ადე საჩქაროთ შე საცოდავო! დაუყვირა მან შვილს მუქარით.—ამ დროს უცებ სასოწარკვეთილი ხმა მოისმა: „ღალატი, ღალატი!“ რომელმაც მეხივით დაიჭექა რობერტის თავზე; ის შეშლილივით წამოვა'და ზეზე, ის იყო გათენებულიყო. რობერტის თვალს წარმოუდგა საშინელი სურათი: მთელი ეზო არაბებით გაჭედილიყო. ისინი იჭერდენ უიარაღო ჯვაროსან ბავშებს, ხელ-ფეხს უკრავდენ და გაჰყავდათ ეზოდან. ბავშების სასოწარკვეთილმა ტირილმა, იარაღის ჩხაკუნმა, მუსულმანების მხეცურმა ყვირილმა: „ალაჰ! ალლაჰო“ გამოაშტერა რობერტი. ის სრულებით დაიბნა და არ იცოდა სიზმარში იყო, თუ ეღვიძა. მეზობელ ბაღებიდანაც მოისმოდა ბავშების ხვეწნა-მუდარა შეიარაღებული მცველები კედელსავით შემორტყმოდენ სტეფანეს გარშემო და ემზადებოდენ ვაჟკაცურათ დაეცვათ წინამძღოლის სიცოცხლეთვით სტეფანეს, ზეცისაკენ აღეპყრო ხელები და ხმა-მაღლა ლოცულობდა, მაგრამ ერთ წამს მთელი ბრბო არაბებისა გაბრაზებული ეძგერა მის პატარა რაზმს, და ერთ საათში ყველა მცველი ბავშები კარვის შესავალში უსულო გვამებათ აქცია. სტეფანემ რა ნახა ამ ხანაგების უბედურობა ვერ მოითმინა და ვაჟკაცურათ მივარდა არა-

ბებს: „წამიყვათ მე," მე ვარ მაგათი წინამძღოლი! მცემეთ, მტანჯეთ, რაც გინდათ მიყავით, მხოლოთ ხელს ნუ ახლებთ ჩემ ერთგულ მცველებს — შეჰყვირა მან.

პირველ წამს, ბავშის ღვთიურმა სახემ, მისმა მკაფიოთ გამოთქმულმა სიტყვებმა და კეთილმა ხმამ თითქოს დაარეტიანა არაბები. ისინი შედგენ, მაგრამ მალე მოვიდენ გონს, ეცენ სტეფანეს, დასცეს ის მიწაზე და ხელები შეუკრეს. ოქროს რკალი, ნიშანი ბავშის ხელმწიფობისა, ბრიყულათ წაგლიჯეს მას კისრიდან და ერთმა გამხეცებულმა არაბთაგანმა ფეხებით გაჰქელა.

ნახეს თუ არა წინამძღოლის ასეთი უსამართლო მოპყრობა არაბებისაგან, ჯვაროსანი ბავშები მიხვდენ, რომ მათთვის იმედი აღარაა. წინაალმდეგობაზე იხლა აღარავინ ფიქრობდა ჯგუფათ შეცვივდენ კარავში და არაბებს ტირილით შესთხოვდენ პატიებას. ამ ღამეს მთელი ლაშქარი ჯვაროსან ბავშებისა ჩაიგდეს არაბებმა ხელში.

— დედავ, ძვირფასო ჩემო დედავ, მე უნდა მოვკვდე! წამოიძახა ცრემლ-მორეულმა რობერტმა.

— საყვარელო რობერტ! მაპატიე!—ჩუმათ უთხრა გენრიხმა, თან მიეხვია თავის მეგობარს.—მე რომ არ წამეხალისებინე, შენ ახლა აქ არ იქნებოდი!.

— ღვთის ნება იყო ალბათ,—უპასუხა რობერტმა.— შენ ნუ სდებ ბრალს შენ თავს. ალბათ მოხდა ის, რაც ღმერთს სურდა!..

ამ დროს ეზოში შემოვიდენ გუგო და პორკუსი. მათ არაბები მოწიწებით მიეგებენ, ჯვაროსნები-კი წყეველა-კრულვით. გამცემმა — ვაჭრებმა გულ-გრილათ გადახედეს შებორკილ ბავშების ბრბოს, მიუახლოვდენ არაბების უფროსებს და ჩუმათ რაღაცა ბრძანება გადასცეს. პორკუსი სტეფანეს ახლოს იდგა. ყმაწვილი თავ-ჩალუნული ლოკულობდა რამდენსამე წამს, შემდეგ უცებ მოტრიალდა პორკუსისაკენ და დამუქრებით დაუყვირა:

— ღმერთსა ვთხოვ მაგ ვერაგულ ღალატისათვის დაგსაჯოს ღირსეულათ შენც და შენი თანამოზიარეც. უკანასკნელ სიცოცხლის წამს მოიგონებთ ყველა სიბოროტეს, რომელიც ჩაგიდენიათ.

გუგო და პორკუსს ტანში გააჟრჟოლა, ჯვაროსნების წინამძღოლის მუქარა რომ გაიგონეს. სვინდისი სტანჯავდათ და პირდაპირ ვერ შეეხედათ ყმაწვილის ღვთისნიერ სახისათვის.

— გაჩუმდი, დამთხვეულო! დაუყვირა ბოლოს პორკუსმა, თან თვალს არიდებდა ყმაწვილს.—გაჩუმდი, თუ სიცოცხლე არ მოგჭარბებია! მაჰმადს ვფიცავ ამ საათში თავს გაგაგდებინებთ თქვენ ყველას.

— ნუ ახსენებ ჩემს-წინაშე შენს ცრუ-წინასწარმეტყველის სახელს! —გაბედვით დაუყვირა სტეფანემ.—მოვა ის დროც, როდესაც მას ამაოდ დაუწყებ ვედრებას: ის არ მოვა შენ საშველათ, ის ცრუ-წინასწარმეტყველია!

— როგორ, საძაგელო! განა ღირსი ხარ შეურაცხყო დიდებული მაჰმადის სახელი? მაშ, აჰა, მოკვდი! თქვა პორკუსმა და ანიშნა ახლო-მდგომ არაბს, რომელმაც მოუქნია ხმალი გულად ბავშს, მაგრამ გუგომ უცებ სტაცა ხელი.

— ხომ არ გაგიჟდი? მიუბრუნდა გუგო პორკუსს.—შენ გინდა ზარალში შემიყვანო? ვინ იყიდის მკვდარ ტყვეს? ცოტა დაჰხოცეს წუხელი? შეხედე, რამდენი გვამების ხროვა აწყვია. ამ საძაგელ მწყემსში ჩვენ დიდ ფასს მოგვეცემენ. მერე გინდ შესწვან, გინდ ოთხათ გაჰგლიჯონ, როცა გაყიდული იქნება—ჩვენ რა გვესაქმება. დააცადე და მალე ჩვენზე მეტათ დაუწყებს მაჰმადს თაყვანის ცემას.

— არას დროს არ ვიზამ მაგას!—უპასუხა გულმოსულმა სტეფანემ.—მე დავიბადე ქრისტიანათ და მოვკვდები კიდეც მართლ-მორწმუნე ქრისტიანათ.

გუგომ ზიზღით გადახედა და არაბების დარაჯთ უბრძანა ეს გიაურების ჯოგი ბაზარში გარეკეთო.

— ალლაჰმა დალოცა ჩვენი განზრახული საქმე, განაგრძო იმან: —მშვენიერათ ვინადირეთ. სხვა დროს ას წელიწადშიაც-კი ვერ ვიშოვიდით ამდენი მონებს.

არაბებმა შეჯგუფეს ერთათ ყველა ჯვაროსნები, წინ დიდები დააყენეს, ხელებ გაკრულები, უკან-კი ბავშები მისდევდენ. ტანისამოსი ყველას დაჰფხრეწოდა, იარაღი აეყარათ; არაბები მიერეკებოდენ მათ ლანძღვა-გინებით და ჯოხის ცემით. წინ ამ დამცირებულ ჯარს სტეფანე მიუძღოდა.

ნინო ენუქიძე.

(დასასრული შემდეგ)

უდროვო კუგო.

(სურათი)

(გუმდინი თამარ კურდ – ოვს).

I



ს მოხდა აგრეთ წოდებულ „წითელ დღეებში“.

ჰაერში შემაძრწუნებელი სუნი იდგა წამლისა და შემაძრწუნებელიეე გრგვინვა, თქაფა-თქუფი ისმოდა ურიცხვი თოფებისა. ხალხზე ნადირობა გაემართნათ... ბევრს დაახუჭვინეს თვალები... ტფილისის ქუჩები წითლათ შეიღება სისხლით.

ბრძოლის ველიდან გარბოდა ის, პატარა, ცელქი... კურდღლის ბაჭიასავით მიხტოდა შიშით არეული, დამფრთხალი... ჯალათი უკან მისდევდა.

ერთხანს ირბინა, მაგრამ... ფეხები მოეკვეთა, მოეჭრა... ჯალათი დაუახლოვდა.

პატარამ ჩაიჩოქა, ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოუშვა და ჯალათის წინ დაიწყო აკანკალებული წვრილი ხმით:

— Боо-жее ца-ря хра-нии!

შესაბრალებელ თვალებს აქეთ-იქით აბრიალებდა.

— Сла-авному до-олги дни...

აღარ დასცალდა განეგრძო: მონადირის ტყვიამ გული გაუგმირა მსხვერპლს...

II

შეღამებული იყო.

სახლი შავის ძაძებით შეემოსნათ. კარგათ მორთულ ოთახში ყველას სული მიენაბა. აქა-იქ კუთხეში მიმჯდარ სტუმრებში მხოლოთ დრო-გამოშვებით გაისმოდა ჩურჩული და ჩუმი კვნესა... ოთახის შუაგულზე კუბო იდგა, კოხტათ მორთული, დამშვენებული... ზედაპირი განზე გადაედოთ. მიცვალებულის პირისახე თეთრის სუდარით დაეფარათ. კუბოს თავზე ორი შანდალი იდგა, რომელზედაც რამდენიმე კელაპტარი მორცხვათ, მკრთალათ ციმციმებდენ და იქაურობას ოდნავ ანათებდენ. შანდალთან გრძელ-წვერა, ბელატი მოხუცი გაჩერებულიყო, ხელში ძაძასავით შავი ყდიანი წიგნი ეჭირა და დაღვრემილათ იმეორებდა ნაცნობ ფსალმუნს დაეითნიდან:

— ნეტარ არიან, რომელთა ზრახვანი..

კუთხეში მაცხოვრის ჯვარცმის ხატის წინ კანდელი ბჟუტავდა და საოცნებოთ ჭუტავდა თვალებს ამ მყუდროებაში, თითქოს ისიც თანაუგრძნობდა იქაურობას, იმ მყოფთა შავ ძაძებს, შავ ფიქრებს შავ ამბავს; თითქოს მოხუცის სიტყვებს ფსალმუნიდან ისიც ყურს უგდებდა და უდროვო კუბოში მდებარის სულს ავედრებდა იმას, ვინც ურიათა ქვეყანაში ერთს დროს ასეთმავე ჯალათებმა ჯვარზე გაკრეს.

„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო!..“ — მოხუცმა დაეითნი ჩაათავა და იქვე ჩაჯდა დაღვრემილი, ღონე-მიხდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

პირ-დაღებული, მოღუშული ცა დასჩერებოდა სასაფლაოს. მიცვალებულთა ურიცხვი ლოდები და მატურები ხალხით იყო გადაფენილი. შემოსილი მღვდელი დაერდომილათ, მწუხარეთ ამბობდა ასამაღლებელს, რომელიც ხალხი ჭირისუფალ-ნაცნობთა ტირილში სრულიათ არ ისმოდა. იქავე, პირ-დაღებულ სამარის პირათ კუბო იდგა. მის მახლობლათ ურიცხვი გვირგვინები ეჭირათ ხელში, რომლების ფრთებზე ათასნაირი წარწერები იყო.

ხალხი სულ-განაბული იყო, მხოლოთ აქა-იქ გაისმოდა ჭირისუფალთა და მოკეთეთ გულ-დამწვარი ქვითინი... პირისაკენ ყველას უზომო მწუხარების ბეჭედი ესო... აქა-იქ ლაპარაკი დაიწყეს. შემდეგ კიდევ ყველაფერი მიწყნარდა. ხალხში წითელი დროშა აიმართა. ერთი ახალგაზდა წინ წამოდგა, მიცვალებულის კუბოსთან დადგა და დაიწყო.

ის ლაპარაკობდა და მისი სიტყვები კაჟივით აკვესდა ჰაერში და იქ ხედებოდა, სადაც უნდა მომხდარიყო...

— ... ჩვენ არ გტირით, ძვირფასო, უდროოთ დამჭკნარ ყვავილს,—ათავებდა მოლაპარაკე,—უდროოთ მოწყვეტილ ფოთოლს, უდროოთ დაკარგულ დედის იმედს... არ გტირით, რადგანაც ტირილი ჩვენი წესი არ არის... ჩვენ ვიბრძოლებთ. ვიბრძოლებთ ხალხზე მონადირეთა და ჯალათთა წინააღმდეგ... ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ...—მედგარმა ხმამ ჰაერი გააპო და ყველას გულსა და ყურში ჩაერჭო ისარივით საგრძნობი სიტყვები მოლაპარაკისა. ხალხში აქა-იქ ისევ გაისმა ქვითინი.

— ... სიკვდილი ჯალათებს!.. ჩაათავა მოლაპარაკემ და გაჩუმდა.

— შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა ..—დაიწყო ბოხი, დაერდომილი ხმით მთავარმა. წესის აგებაც დასრულდა.

მეორე მხრით წითელი დროშა ფრიალებდა ჰაერში. მის ქვეშ აღფრთოვანებული ხალხი მოლაპარაკის მ დგარ სიტყვებს ისმენდა.

მ. ჯინწურაშვილი.

ფიზიკური გეოგრაფია.*)

(პროფესორი გეიკისა)

VIII. თოვლიანი მინდვრები და მყინვარები.

ეუაგულ და სამხრეთ ევროპაში თოვლი მთებზე მხოლოდ ზამთრობით არის, ზაფხულობით იგი დნება. დიდი ბრიტანიის ზოგიერთ მთებში იმისთანა დაბურული ფხრეწილებია, სადაც ზაფხულის პაპანაქება ხიცხეშიაც-კი ნახავთ დიდს თოვლის გროვას. ხოლო ალპებში, კავკასიაში, ნორვეგიაში, სადაც მთები მეტად დიდი და მაღალია მთელი წლობით გამოსჭვივის თავის სითეთრით დაუმდნარი თოვლი. ისეთ მძლავრ შთაბეჭდილებას თქვენზე სხვა ვერაფერი მოახდენს, როგორც ეს თოვლიანი ალაგები თვისი მყუდროებითა და სიდიადით. როცა ამისთანა მთებს ძირიდან მიჩერებიხართ, იგინი იმდენად დიდად, შორეთ, თან თეთრად, სპეტაკათ გეჩვენებათ, რომ თქვენ მთები ცის ნაწილი გგონიათ და არა ხმელეთისა. ხოლო თუ ახლოს ნახავთ, გასინჯავთ, მაშინ წარმოიდგენთ მათ საკვირველს სიდიადეს.

გავითვალისწინოთ ეხლა, თუ რანაირად გაჩნდა ეს უტყვი და უსიცოცხლო თოვლის სამეფო, რა მიზეზია ზოგიერთ მხარეში რომ თოვლი მუდმივ არის, ან რა მნიშვნელობა აქვს თოვლს მსოფლიოს ვითარებაში? უკვე იცით, რომ ატმოსფერის მაღალი ფენები მეტათ

*) იხილე „ჯეჯილი“ № IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივია; იცით ისიც რომ დედამიწის პოლიუსებზე ძალიან ცივი ჰაეაა, რის გამოც იქ ბევრი თოვლი და ყინვაა. პოლიუსებზე ზღვაც და ხმელეთიც იყინება, იქაური ზაფხულის სითბო არა კმარა, რომ თოვლი და ყინვა გაადნოს. ცივს ქვეყნებში ისეთი მაღალი მთებია, რომ ჰაერში შეკუმშული წყლის ორთქლი იქ წვიმათ-კი არ ეცემა, არამედ თოვლათ. ამიტომაც მთების მწვერვალოები მუდამ თოვლით არის შემოსილი. ამნაირის მაღალ და მთიან ალაგებში ზაფხულის სითბო მარტო დაბალი ძთების მწვერვალოებზე გაადნობს ხოლმე თოვლს. ხოლო მაღალ მწვერვალოებზე თოვლი გაუმდნარი რჩება. ხშირი დაკვირვების შემდეგ ნახეს ბოლოს იმისთანა საზღვარი, ხაზი, რომ ლის ქვემოთ თოვლი დნება, ზემოთ-კი არა. ამ საზღვარს, ხაზს, **მუდმივი თოვლის საზღვარს** უწოდებენ. ეს საზღვარი სხვა-და-სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა სიმაღლისაა. ყველაზე მაღალი ეს საზღვარი ცხელს ქვეყნებშია, ეკვატორის ორივ მხრით; პირ-იქით, ცივს ქვეყნებში ეს საზღვარი ძალიან დაბალზეა, თითქმის ზღვის ნაპირების გასწვრივ. სხვა ნაირათ რომ ვთქვათ, ცივი ჰაერის გამო ჩრდილო ქვეყნებში დაბალს ალაგებში ხვდება მუდმივი თოვლი; ცხელს ქვეყნებში, რადგან ჰაეაც თბილია, რამოდენიმე ათასი ფუტის სიმაღლე ადგილები უნდა ეძიოთ, რომ თოვლი ნახოთ.

თოვლი ჯერ პატარ-პატარა ფერფლებათ ცვივა, შემდეგ ფერფლები ფართოვდება და დედამიწა თეთრათ იმოსება. რამოდენიმე საათის შემდეგ მიწას ექვსი, შვიდი გოჯის სისქე თოვლიც დაედება. აქ შესანიშნავ განსხვავებას ამჩნევთ წვიმასა და თოვლის შორის. ამავე ხნის განმავლობაში რო წვიმა წამოსულიყო, ჩვენ მინდორსა და გზას მაინც გავარჩევდით, რადგან ყოველი წვიმის წვეთი იქვე აღარ რჩება, სადაც ეცემა, არამედ ან მიწაში მიიპარება და ან მახლობელ ღელეს უერთდება. პირ-იქით, ყოველი თოვლის ფერფლი იქვე რჩება, სადაც დაეცა, თუ, რასაკვირველია, იგი ქარმა არ გაიტაცა და სხვა ალაგას არ გადაიტანა. წვიმა ცდილობს რაც შეიძლება მალე გაიპაროს მიწიდან, თოვლი-კი პირ-იქით ცდილობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეიძლება მეტი ხანი დააყოვნოს მიწაზე. ცხადია, ესეთი განსხვავება წვიმასა და თოვლს შორის ჰბადებს კიდეე სხვა თვალ-საჩინო განსხვავებასაც. წვიმის მოქმედება რაკი იცით, ახლა თოვლისაც გავიგოთ. მართლა და თოვლს რა ემართება? ცივს ქვეყნებში მცხოვრებელთათვის ძნელი არ იქნება ამის გაგება. თოვლი მიწაზე რჩება მთელი ზამთარი, ზაფხულში დათბება და თოვლიც გადნება. ხოლო შემდეგ წვიმასავით ან მიწაში იჟონება და ან ღელეებს, მდინარეებს უერთდება. ამნაირათ, თოვლის შემდეგი მოძრაობა იგეთივეა, როგორიც წვიმისა. არ უნდა დაიეიწყოთ მხოლოთ რომ, მალე და ბლომათ გამდნარს თოვლს, მაგალითად, გაზაფხულში წყალდიდობა მოჰყვება ხოლმე, რის გამოც ღელეები და მდინარეები დიდდებიან და ლეკენ დაბლობ მიდამოებს.

იმ ქვეყნებში, სადაც მუდმივად თოვლია, ზაფხულის სიცხე არა კმარა, რომ ერთი წლის დადებული თოვლი გაადნოს. მაშ ეს თოვლი, სად მიდის, გზას სადა პოულობს? ცხადია, რომ ეს თოვლი მთებიდან სადმე უნდა წავიდეს, რადგან თოვლი რო მთებზე რჩებოდეს და მას კიდეე წლიდან წლობამდის ემატებოდეს, მაშინ მთები ცამდის ამაღლდებოდენ, თან გადიდდებოდენ და მიდამოებს მთლათ მოიელიდენ. ბუნებაში-კი ეს არ ხდება. დიადი თოვლიანი მთის მწვერვალები საუკუნოებით არ იცვლებიან, არ დიდდებიან და არ პატარავდებიან. როგორც წყლის მეტი ნაწილი მდინარეებში გადადის, ისე თოვლის მეტი ნაწილიც გზას პოულობს, ხოლო თოვლი მდინარეებათ-კი არ მიდის არამედ მყინვარებათ.

თოვლი რომ ბლომათ გროვდება, მაშინ ზემო ფენების სიმძიმე ქვემოთ აწვება და მათ ამაგრებს. მაღალი მთების ფერდოებზე დადებული თოვლი თავს ეეღარ იმაგრებს და თაქვე ეშვება; გზაზე მას მეორე თოვლის ზვავი შეუერთდება, მერე მესამე და ასე, სანამ ეევერთელა ენის მსგავსი დიდი თოვლის ზვავი არ შედგება; ეს ენაც თაქვე მიიზლაზნება, სანამ დაბლობს არ შეხვდება და იქ არ ჩად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება. თოვლიან მინდვრებიდან წამოსულ ენის მსგავს თოვლის ზვავს ჰქვია მყინვარი.

მყინვარი თოვლიან ალაგებიდან ისე იკრეფს თოვლს, როგორც მდინარე პატარ-პატარა ღელეებს (წყლებს).

თოვლიან ალაგებიდან წამოსული მყინვარი თოვლისაგან-კი არ შესდგება, არამედ ყინულისაგან. მთის მწვერვალოდან რამდენი ძირს ჩამოიწვევს თოვლი, იმდენი იკუმშება და თან იყინება. თოვლშიაც, როგორც საზოგადოთ ყოველს ნივთიერებაში ჰაერია. შეიკუმშება თოვლი, და ჰაერიც წავა იქიდან, ამის გამო თოვლის ნაწილები ერთი მეორეს ეკვრიან და ამრიგად თოვლი იყინება. იცით, რასაკვირველია, რომ თოვლი ხელის მოჭერით იკუმშება და მაგრდება. რაც უფრო ძალაზედ მოუჭერთ თოვლს ხელს, მით უფრო იგი შეიკუმშება და გამაგრდება. ამ შემთხვევაში თოვლს იგივე მოუდის, რაც ბუნებაში, ხელის მოჭერით თქვენ თოვლიდან ჰაერი გადენეთ, თოვლის ნაწილებიც ერთი მეორეს შეეწებენ და იგიც გამაგრდა. ხოლო სულ ერთიანად თოვლიდან ჰაერის გამოდენა თქვენის ძალ-ღონით შეუძლებელია, იქ ჰაერი მაინც დარჩება, ამიტომაც თოვლის გუნდა თეთრია. სულ სხვაა თოვლიან მთებში. იქ თოვლის ფენები ერთი მეორეს ისე ძალუძათ აკვება, რომ ჰაერი სულ ერთიანათ იდენება, რის გამოც თოვლი ძალზე იკუმშება და გამჭვირვალე ყინულადაც გადადის.

ამნაირად, მყინვარი, მდინარეა ხოლო წყლისაგან შემდგარი-კი არა, ყინულისაგან.

დაძრული მყინვარი ზოგჯერ მუდმივ თოვლის საზღვარსაც ცილდება და ასე თავქვე მიიზლაზნება. მყინვარის ზედა პირი ზაფხულში დნება და ზედ ამიტომ ნაკადულები მიმორბიან, ხოლო ღამით ნაკადულები ისევე იყინებიან. ბოლოს მყინვარი ღრმა ალაგს აწყდება და იქ ჩერდება. აქ თავდება კიდეც მყინვარი, ხოლო იქიდან მღვრიე, ტალახიანი წყალი და ღელეები გამომდინარობენ; წყალი და ღელეები ერთი მეორეს უერთდება და ასე ჩნდება აღქაფებული მდინარე.



ამ სურათზე ნაჩვენებია ყინვარი მოშორებით ამართულია ვეებერთელა თოვლიანი მთები, რომელთა შორისაც დაცემულია თოვლიანი მინდვრები. ყოველი მხრიდან თოვლი დიდს მინდორში გროვდება. და იქ ჩნდება მყინვარი. სადაც ყინვარი თავდება, იქიდან მდინარეები გამომდინარობენ.

თოვლიანი მინდვრებიდან დაშვებული მყინვარი რამე მოქედებას უნდა იჩენდეს. მდინარე ღრღნის თავის კალაპოტსა და ნაპირებს და ამნაირად იკვლევს გზას, როგორც ქვიან ადგილებში, ისე რბილს მიწაში. ამასთანავე მდინარეს ზღვაში ქვა, ქვიშა, ტალახი და სხვა მასალა გადააქვს. მყინვარიც ასე მოქმედობს, მხოლოთ სხვა საშუალებით. მდინარეში მოყოლილს ქვებს წყალი ზღვისკენ ეზიდება. ქვიშა და ტალახიც მდინარეშია აცურებული და ისე გადადის ზღვაში. მხოლოთ მყინვარის შემადგენელი მასალა, ყინული—ბაგარი სხეულია. მყინვარზე დაცემული ქვა და ტალახი მყინვარსავე მიაქვს თავქვე. მყინვარზე ქვები გძელ და ფართო ხაზებს სტოვებენ; ამ ხაზებს მორენები ჰქვია. ამას გარდა მყინვარი დასკდება ხოლმე და ამნაირად ჩნდება

ზედ ღრმა და დიდი ხვრელები, რომელშიაც მიწა და ქვები ცვივა. თუ ქვა, ქვიშა და სხვა მასალა ყინვარისა და იმ ქვის შრეს შუა მოყვა, რომელზედაც ყინვარს გზა აქვს დადებული, მაშინ ეს ქვა და ქვიშა შრეს ღრღნის და ფხაჭნის. ცხადია ახლა თქვენთვის, თუ რათ არის ყინვარიდან გამონადენი მდინარე ტალახიანი და ღვრიე. მყინვარის ძირი ყოველთვის ქვით არის მოფენილი და ეს ქვები ღრღნიან კიდევაც ქვათ შრეს, ამის გამო ჩნდება ბევრი ქვიშა და ტალახი, რომელთაც იტაცებს მყინვარის ქვეშ გამოჰდინარე წყალი.

მყინვარი არ ჯერდება მარტო გზის გაკაფვას და თან მიაქვს დაბლობში აუარებელი ქვა, ქვიშა და ტალახი. ზოგჯერ მყინვარი რამოდენიმე ვერსზე გადიტანს ხოლმე სახლის ოდენა ქვებს.

უდიდესი მყინვარები დედამიწაზე ციეს ქვეყნებშია. მთელი ჩრდილო გრენლანდია ერთს ვეებერთელა მყინვარს აქვს დაჭერილი. მყინვარი რო ზღვაში ვარდება, იგი იქ ვეებერთელა ნაფლეთებათ სცდება და ეს ყინულის მთები ზღვის სიერცეზე მიმოცურაავენ. ზღვაში მცუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაეი ყინულის მთის ქვემო ნაწილი შეიდჯერ მეტია, ვიდრე წყალს ზემოთ ამოჩრილი. ამას შემდეგი ცდა დაგიმოწმებთ: წყლიან ჭიქაში რო პატარა ყინულის ნატეხი ჩადოთ, ნახავთ რო წყალში ჩაძირული ყინულის ნაწილი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ზემოთ ამოჩრილი. ყინულის მთები ზღვაზე მანამდის მიმოცურავენ, სანამ არ გადნებიან. ზოგჯერ იგინი რამოდენიმე ასი ვერსის მანძილზე შორდებიან იმ ყინვარს, რომელსაც მოსკდენ.

დამტკიცებულია რომ დედამიწის ჩრდილო ნაწილები ოდესმე მყინვარებით ყოფილა მოფენილი. ამას მოწმობს იქაური ქვათა შრეებისა და ქვების ნიმუშები, რომელნიც მოყვანილობით და სხვა თვისებით ძალიან წააგავან ახლანდელ მყინვარების ნამოქმედართ. წარსული დროის მყინვარების ნამოქმედარი სხვა ქვეყნებშიაც ბევრია, მაგალითად, ბრიტანიის კუნძულებზე, შეერთებულ შტატებში, კანადაში და სხვაგან.

სხვათა შორის რუსეთშიაც ბევრი ყოფილა მყინვარების ნამოქმედარი ნიმუშები. ჩრდილო რუსეთის ნახევარი თითქმის სულ მოფარულია ერთ გვარი დიდი თუ პატარა ქვებით, რომელთაც რიყის ქვას ეძახიან. (ქალაქებში ამ ქვას ქუჩების საკირწყლავათ ხმარობენ.) ეს ქვები ოდესმე სკანდინავიის და ფინლიანდიის მთებიდან ყოფილან ჩამოხეთქილი და შემდეგ მყინვარისაგან სამხრეთისაკენ წამოღებული. კავკასიის მთებში ხომ ახლაც არის მყინვარები ზემო აღწერილ თვისებებით.

ამნაირათ მყინვარების შესწავლით თქვენ არამც თუ იგებთ, რაც შორეულს ქვეყნებში ხდება, არამედ იძენთ იმისთანა ცოდნასაც, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ გაითვალისწინოთ წარსული ხანა თქვენი საშშობლო მხარისა.

იმისთანა მხარეში, სადაც მუდმივი თოვლი არ იცის, მაგალითად, რუსეთში, თოვლის მოქმედება სხვანაირად გამოიხატება. აქ თოვლი მცენარეულობას, მიწას და ქვებს ფარავს და ამნაირათ იცავს ძათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი სიცივისაგან. გაზაფხულზე თოვლი დნება და ამის გამო აუარებელი წყალი მდინარეებს აწყდება, მდინარეებიც დიდდებიან და ლეკავენ ახლო მახლო მიდამოებს.

ზ ღ ვ ა.

I. განაწილება ზღვისა და ხმელეთისა.

ხმელეთზე რაკი ეცხოვრობთ და ვიცით კიდეც მისი მოყვანილობა, მდებარეობა—მთა, ბარი, ჭალა-მინდორი ჩვენა გვგონია, ვითომ ეს ხმელეთი დედამიწის უდიდესი ნაწილი იყოს. ბევრს თქვენგანს სულაც არ უნახავს ტბასა და მდინარეს მეტი წყალი. მაგრამ იცოდეთ, რომ ხმელეთი სადაც თავდება, იქ ეეებერთელა წყლით დაფარული ადგილები იწყება. მაგალითათ დიდი ბრიტანიის შუა გულიდან რომ წახვიდეთ და სულ ერთი და იგივე მიმართულებით იაროთ, ხმელეთს გალეეთ და ბოლოს დაინახავთ თვალ-გადუწვდენელს წყლის სივრცეს. დიდი ბრიტანიის გარშემო გემით შეგიძლიათ შემოუაროთ და ამით დარწმუნდებით, რომ იგი კუნძულია. ეთქვათ ახლა დიდი ბრიტანიიდან გემით დასავლეთისაკენ წახვედით, ამ შემთხვევაში სანამ ხმელეთს მიადგებოდეთ, ათას ხუთასი ვერსის გავლა დაგჭირდებოდათ. ხოლო თუ სამხრეთისაკენ წახვალთ, მაშინ მთელი თვეებიც რომ იაროთ, ხმელეთს მაინც ვერ იპოვნით. ხოლო თუ გაჯიუტდებით და მოგზაურობას არ მოიშლით, ბოლოს ყინულიან ფხრეწილებს წააწყდებით სამხრეთ პოლიუსზე. კიდევაც ამნაირის მოგზაურობით თქვენ შეიტყობდით, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს წყალს.

დანამდვილებით გამოკვლეულია, რომ წყალი სამჯერ მეტია ხმელეთზე. ჩვენ, აბა ამას როგორ გავიგებდით, როცა ხმელეთის მეტს ვერას ვხედავთ, მაგრამ წყლისა და ხმელეთის ამგვარი განაწილება მაშინ გაიგეს, როცა მეზღვაურებმა დედამიწის გარშემო იწყეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიარული და ზღვაც ყოველის მხრით გამოიკვლიეს. აბა, კლასის გლობუსი აიღეთ და ნელ-ნელა თავის ღერძზე შემოატრიალეთ, თუ მაშინვე არ შეამჩნიოთ, რომ წყალი ხმელეთზე მეტია. გლობუსის დაკვირება ბევრს რასმე'ს საინტერესოს გამცნებთ წყლისა და ხმელეთის განაწილების შესახებ. გლობუსზე მთელ წყალს ერთათ აქვს თავი მოყრილი. ამ წყლის გროვას ოკეანა ‖ქვია. პირ-იქით ხმელეთი ზღვებით არის დაყოფილი. ხოლო წყალს ხმელეთიდან აქა-იქ პატარ-პატარა ნაწილები ჩამოუგლეჯია, ეს ხმელეთის ნაწილები არიან კუნძულები. გლობუსზედვე ამჩნევთ რომ ეკვატორის ჩრდილო მხარეზე უფრო მეტი ხმელეთია, ვიდრე სამხრეთ მხარეზე. გლობუსი რომ ისე გააჩეროთ, რომ ქალაქი ლონდონი თქვენს პირდაპირ იყოს, დარწმუნდებით, რომ სამხრეთის უდიდესი ნაწილი თქვენს წინ არის. ხოლო თუ გლობუსს ისე შემოატრიალებთ, რომ თქვენ წინ იყოს მისი მეორე მხარე სადაც, მაგალითად, კუნძული ახალი ზელანდია არის, მაშინ თქვენ დაინახავთ უდიდესს წყლის ნაწილს. ამნაირათ, ლონდონი დედამიწის ნახევრის შუა-გულშია. კიდევაც ამ მდებარეობას დიადი გავლენა ჰქონდა ბრიტანიის მრეწველობის განვითარებაზე. გლობუსზე კიდევ იმასაც ამჩნევთ, რომ ხმელეთის დიდი ნაწილები თავის მდებარეობით წყლის სხვა-და-სხვა ნაწილების ერთი მეორესაგან ჰყოფენ. ხმელეთის ამ ნაწილებს მატერიკები ჰქვია, ხოლო მათ შორის ევებერთელა წყლის ნაწილებს—ოკეანები.

წინა წერილებში ზღვაზე ხშირათ გვქონდა ბაასი. მაშინ ვამბობდით ჰაერის სისველე უმთავრესად ზღვისაგან წარმოსდგება-თქო, რომ მდინარეები ზღვას ერთვიან და თან მიაქვთ ხმელეთიდან ჩამონარეცხი აუარებელი ქვა, ქვიშა და ტალახი. ახლა-კი უფრო დაწვრილებით უნდა გავითვალისწინოთ ზღვის ზოგიერთი ღირს შესანიშნავი თვისება.

წარმოვიდგინოთ საზოგადოთ ჯერ ზღვის სახე, ფორმა. ვთქვათ თქვენ ზღვის ნაპირას დგეხართ და პირველათ ხედავთ თვალ-გადუწვდენელ წყლის სივრცეს. თქვენს უკან ხმელეთია, წინ-კი, სანამდისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეალი მიწედება, წყლის მეტი არა ჩანს-რა ერთს შორეულს ხაზამდე, სადაც ეითომ ცა ზღვას დაბჯენია. ამ ხაზს, სადაც ეითომ ცა და ზღვა შეყრილან ჰქვია ჰორიზონტი. ეაკვირდებით ზღვას და ეოცდებით მისი დაუდეგარი მოქმედებით. თეით ზაფხულის მყუდრო დღეშიაც ზღვაზე ემჩნევა ნელი და ღრმა მოძრაობა. ზოგჯერ პატარ-პატარა ზვირთები ხმელეთისაკენ მიმორბიან და იქ ნაპირზე იფანტებიან. ხოლო, როცა ღელვა ატყდება, ქაფ-მოგდებული ტალღები საოცარის ხმაურობით ნაპირებს ეხეთქებიან, ასეთი სანახავია ზღვა ხმელეთიდან, ახლა ნახეთ იგი თეით ზღვის შუა-გულიდან. ამ შემთხვევაში ზღვა გასაოცარს სანახაობას წარმოადგენს. ხმელეთი სულ აღარა ჩანს, მხოლოთ თეალ-გადაუწედენელი მრგვალი ზღვა იხედება ზედ დაბჯენილი ცითა. ამ ალაგიდან ხმელეთი შეიძლება 3 ან 4 ათასი ვერსის სიშორეზე იყოს. ხოლო გემის ქვეშ წყალი 3—4 ვერსის სიმაღლეზეა. არც წყალში და არც ჰაერში სიცოცხლის ნიშანწყალი არა ჩანს. ამისთანა ყოფაში დიდს სიამოვნებას ეიგრძნობდით მეორე გემის დანახვაზე. დიდის აღტაცებით მივეგებებოდით ცაში მონავარდე ფრინველს ან მწერს, ეითარცა მორბედს ახლო ხმელეთისას, რომლის დანახვასაც ჩვენ ასე ვინატრით.

მდინარეებისა და ტბების წყლისაგან ზღვის წყალი განსხვავდება მით, რომ იგი მლაშეა. ამის დამტკიცება ადვილია, აიღეთ ზღვის წყლის წვეთი და ააორთქლეთ; წყალი ორთქლათ წავა, ხოლო მინაზე თეთრი წერტილი დარჩება; ეს წერტილი რომ მიკროსკოპში გასინჯოთ, ნახავთ, რომ იგი ზღვის მარილის პატარა კენჭებისგან, კრისტალებისაგან შესდგება, ხოლო ამ კრისტალებთან სხვა მასალათა კრისტალეებიც იქნება. ახლა ამ პატარა წერტილზე რომ დააორთქლოთ, იგი ისევ წყლის წვეთათ იქცევა. დაორთქვლის დროს მარილი შეკუმშულს ორთქლს უერთდება და ამის გამო მარილი ხელმეორეთ წყალში იხსნება. ასევე ცდა შეგიძლიათ ზღვაში ცურაობის დროს გაითვალისწინოთ, მხოლოთ ტანზე წყალს ნუ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშრობთ და ნახავთ, რომ ტანზე თეთრი მარილი ქერქივით შემოგეკვრით.

II. ზღვის წყალი მლაშე, მარილიანი რათ არის!

მართლა და საიდან გაჩნდა ზღვის წყალში მარილი? საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი დედამიწა, ისე როგორც ახლა მზე, წარსულს ხანებში ძალზე ცხელი ორთქლის ბურთის გროვას წარმოადგენდა. ხოლო რაცა დრო გადიოდა ეს ორთქლის ბურთი თანდათან ნელდებოდა, ცივდებოდა, ამის გამო იგი იკუმშებოდა, ხოლო ამ შეკუმშვის წყალობით გაჩნდა იქ სხვა-და-სხვა ნივთიერება. იმ ნივთიერებათ შემდეგ კიდევაც გააჩინეს მაგარი პლანეტა თავის ორგვარი ქერქით—ერთი ჰაერისა, ხოლო მეორე წყლისა. ამ ნაირათ, ახლანდელი ჰაერი, ატმოსფერა, შეიძლება ჩვენ ჩავთვალოთ ნაწილათ იმ წინანდელი, ერცელი ატმოსფერისა, რომლის შეკუმშვისაგან პლანეტა გაჩნდა. აგრეთვე შეიძლება ოკეანეც ატმოსფერის დაგვიანებული შეკუმშვის შედეგი იყოს, როცა დედამიწის ტემპერატურამ ისე დაიწია, რომ წყალს ზედ შეჩერება შეეძლო. ხოლო ეს წყალი რომ იკუმშებოდა და მიწაზე ეცემოდა, საფიქრებელია, თან იტაცებდა, ისვავდა ატმოსფერაში გაფანტულს ზოგიერთ მასალათ და ამ მასალათა შორის იყო, ალბათ მარილი და სხვა კიდევ ბევრი ნივთიერება, რომელიც შემდეგ წყალში გაიხსნა და გაილესა.

მაგრამ ზღვა მარილს ხმელეთიდანაც იკრეფს. წინეთ გექონდა მოთხრობილი, თუ წყალი რანაირათ ხსნის მიწაზე და მიწაში სხვა-და სხვა მასალათ, სხვათა შორის მარილსაც და ყოველივე ამას ზღვისაკენ იტაცებს. ამიტომაც ზღვას ყოველ წლივ მდინარეებითა და წყაროებით აუარებელი მარილი ჩაუდის. თუმცა ზღვა აორთქლის დროს უკანვე აბრუნებს იმდენივე წყალს, რამდენიც მდინარეებით და წყაროებით ჩაუდის, მაგრამ ამ მოვლენით ზღვას მაინც მარილი არ აკლდება. მარილიანი წყალი, რომ აორთქლოთ, წმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი ორთქლათ წავა, მარილი-კი დარჩება. ზღვაშიაც ასეა. მდინარეები ყოველ დღე უზიდავენ ზღვას ახალ-ახალს მარილს. ამასთანავე ყოველს დღე რამოდენიმე მილიონი ფუთი წყალი ადის ზღვიდან ორთქლათ. აქედან ცხადია ზღვის წყალი თანდათან უნდა მლაშდებოდეს. ნამდვილათ-კი ეს მეტათ გვიან ხდება. თუმცა მას შემდეგ რაც მდინარეებმა ზღვაში დენა დაიწყეს, ზღვის წყალი უფრო და უფრო მლაშდებოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, იგი ახლაც არ არის ისე მლაშე, როგორიც უნდა ყოფილიყო და როგორიც კიდევაც არის ზოგიერთ ზღვებში, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ოკეანებთან. ატლანტის ოკეანეში, წყლის ას ნაწილზე სხვა-და-სხვა მარილების სამ ნახევარი ნაწილი მოდის. ხოლო მკვდარ ზღვაში (мертвое море), რომლის წყალიც ძალზე მლაშეა, 100 ნაწილზე 24 ნაწილი მარილი მიდის.

სან—ინი.

(დასასრული შემდეგ)



ობოლი ქალი.

ა დაგვითხოვეს, სწორედ იმ დღიდამ
დღემდე მამაჩემს ველოდებოდი,
მის მოლოდინში სიხარულისგან
გვიან ეწვებოდი, ადრე ვდგებოდი.
მაგრამ არსად სჩანს დღესაც მამილო,
გული მიკვნესის, გული ლონდება,
ცეცხლი მედება, ცეცხლი ობლობის,
როდესაც დედაც მომაგონდება.
რა ხანი არის, ის აღარა მყავს,
უდედა-ტკბილოთ დავიარები;
სხვისი ალერსი მის ალერსს არ ჰგავს
ოხერამ დამიხშო გულის კარები.
შარშან მე ამ დროს ვიყავ თერთმეტის,
ნათლიამ აქეთ წამომიყვანა;
დამკოცნა მამამ, დედის მაგიერ
გულში ალერსი გამომატანა.
და იმ ალერსით ვნუგეშობ დღემდის,
მაგრამ დღეს იგიც კი მეწამლება;
სად არის მამა ნეტა აქამდის,
აგერ რიჟრაჟობს, შობაც თენდება?
ეჰ ჩემო კარგო, ნუ სწუხარ მამას
მან შეასრულა ქრისტეს მოძღვრება:
თავი შეაკლა ბნელ-მჩაგვრელ ძალას
და ხალხს მოუძღვნა თავისუფლება.
დღეიდან არ ხარ ჩვენში ობოლი,
ყველა გაგიწვეს მამობას, ძმობას,
დღეს ხარობს შენი სწორი და ტოლი
და აღტაცებით გილოცავს შობას.

შ. მღვიმელი.

უგულო გავში.



გაგრძელება *)

(მოთხრობა მონგომერისა).

ა ამბავია? რა მოხდა?—შეშინებით შეჰკივლა ვირჟინიმ, როცა ჯორჯმა ერთი ისკუპა და ფანჯრიდან ძირს ჩამოხტა.

— მამა მოვიდა!

ჯორჯი ელვასავით გაჰქანდა კარებისკენ.

— მოიცადე, თმას დაგბარცხნი!—წამოხტა ვირჟინი... მაგრამ ჯორჯი აღარსად ჩნდა, ის სწრაფათ ჩარბოდა კიდევაც კიბეზე.

ვილლი, რომელიც ძმასავით მარდი ვერ იყო, ადვილათ იგდო ხელში ვირჟინიმ. ბევრი იბრძოლა, ბევრი იკვინტა პატარა ტყვემ, მაგრამ თავი მაინც ვერ გაინთავისუფლა მანამდის, სანამ ოქროსფერი ხუჭუჭი თმა ლამაზათ არ გადაბარცხნეს.

როცა ვილლიმ კიბეზე ჩაირბინა და შემოსავალ კარებს მიეარდა, კაბრიოლეტიდან კიდეც გადმომხტარიყო და წინა ოთახში შემოდიოდა მაღალი და კარგი ტანადი კაცი. ბავშებმა მხიარულათ დაიწყეს მის გარშემო ტრიალი და ხტომა.

— აბა, როგორა ხართ?—ღიმილით შეეკითხა სერ ეევერარდი შვილებს, დაიღუნა და ორივე სიყვარულით გადაჰკოცნა.—ბევრი იცელქეთ ამ კვირაში? რამდენი ფერდი ჩაიმტვრიეთ? რამდენი ახალი კოპალი გაზისთ შუბლზე?

მამის ნახვით აღტაცებულმა ბავშებმა ვერც-კი შეამჩნიეს, რომ სერ ეევერარდი მარტო არ მოსულიყო.

---

*) იხილე „ჯეჯილი“ № IX.

— აბა, ხელი ჩამოართვით ამ კაცს, იცნობთ თუ არა?—უეცრათ უთხრა შვილებს სერ ევერარდმა და მიუთითა ყმაწვილკაცზე, რომელიც მას მერე გადმოხტა კაბრიოლეტიდან და შემოვიდა წინა ოთახში.

— ეგ, მგონი, ბიძია ჩარლსია!—გაუბედავათ წამოილაპარაკა ჯორჯმა.—ბიძია ჩარლსი, რომელიც ჩვენსას იყო დიდი, დიდი ხანია მას აქეთ... მაშინ, როდესაც...

— ჰო, ჰო, სწორეთ ბიძია ჩარლსია!—შეაწყვეტინა სერ ევერარდმა.—მე არც-კი მეგონა, თუ ასე მალე იცნობდი. როგორც ხედავ, ჩარლს,—მიუბრუნდა ის სტუმარს,—ჯორჯი დიდათ არ გამოცვლილა მას აქეთ, ეს-კი... ეს მაშინ სულ ერთი ნამცეცა იყო, ახლა-კი, შეხედე!—სერ ევერარდმა ვილლი ხელში აიყვანა და თავის ცოლის-ძმას მიუახლოვდა.

— ღმერთო, როგორა ჰგავს!—უნებლიე აღტაცებით წამოიძახა სტუმარმა. სერ ევერარდმა მწუხარებით ამოიოხრა და ბავში ძირს ჩამოუშვა.

— საუბედუროთ, მგონი მარტო სახით-კი არა ჰგავს!—დაბალი ხმით წაილაპარაკა მან და სტუმრის ყურადღება ვილლის ფერმკრთალ ლოყებს, მისი საფეთქლების ნაზ ცისფერ ძარღვებს მიაქცია.—ესეც იმისავით სუსტია!

ჯორჯი ყურადღებით ისმენდა ამ საუბარს, მერე ნელა მიუახლოვდა ბიძას და მეგობრულათ ხელი გაუშვირა მას.

— შენ კარგი ბავში ხარ, ჯორჯ!—მოფერებით უთხრა ბიძამ და სიყვარულით დაუსვა ხელი შავ ხუჭუჭ თმაზე.—მე და შენ ყოველთვის ძალიან მეგობრები ვიყავით, მაგრამ,—დაუმატა მან და ყურადღებით დააჩერდა დისწულის სახეს,—შენ სულ არა ჰგავხარ დედაშენს!

სერ ევერარდი თავის ოთახში წავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელათ, ბავშები უკან დაედევნენ. ვილლი საკვოიაქის დათვალიერებას შეუდგა, იმედი ჰქონდა, აქედან რამე ლამაზი საჩუქარი ამოჰყოფს

თავსო, ჯორჯის ყურადღებას-კი ხან ერთი საგანი იტაცებდა და ხან მეორე, ის ხან რას იღებდა და ხან რას მამის პალტოს ჯიბიდან.

უცებ სერ ევერარდის ყურადღება რაღაც საეჭვო ხმაურობამ მიიქცია. მან სწრაფათ მოიხედა.

— რა იყო, ჯორჯ, რას შვები?

იმავ წამს ჯორჯს ხელიდან გავარდა დიდი ჯაყვა-დანა, რომლის ოთხივე პირიც გაეხსნა და თავის ფრჩხილებზე აპირებდა გაშინჯვას, ყველა მჭრელია თუ არაო.

— თავი დაანებე დანას!

ჯორჯმა დანა თავის იდგილას დადვა.

— ჯორჯ, ახლავე დაანებე თავი სამართებელს!—ცოტა ხანს იქით უცებ დაიყვირა გულ-გახეთქილმა სერ ევერარდმა, რომელმაც სარკეში საპონ-წასმულ პატარა სახეს მოჰკრა თვალი. ჯორჯი ის იყო აპირებდა ვითომ და წვერების პარსვას შედგომოდა.

— ახლავე შენ ოთახში წადი და პირი დაიბანე!

ჯორჯი სწრაფათ დაეშვა კიბეზე... მაგრამ სასადილო ოთახის კარებთან მაინც იმავე დროს გაჩნდა, როგორც მამა და ბიძა მისი.

სადილათ ბავშები მამას იქით-აქეთ უჯდენ. სერ ევერარდი და ჩარლსი, ორივე დამშეულები, მადიანათ შეუდგენ სუფს. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს ვილლიამის დაბადების დღეა!—უეცრათ წარმოსთქვა ჯორჯმა. მსახური ვილლიამი, ამ სიტყვების გაგონებაზე, საშინლათ გაწითლდა და სერ ევერარდს კინაღამ მხარზე საჭმელი გადაასხა.

— რომელ საათზე დაიბადეთ, ვილლიამ?—გულუბრყვილოთ მიუბრუნდა ჯორჯი მსახურს, რომელიც ამაოთ ცდილობდა ხელებით ენიშნებინა თავის პატარა მტარვალისათვის, ჩემზე ლაპარაკს თავი დაანებეო. თავისი მხრით სერ ევერარდმაც სცადა რამე საშუალებით დაემუწა თავისი შვილის ნამეტანი მოტიტინე პატარა პირი. მან მოჭრა ერთი ნაჭერი პუდდინგი და გადასცა ჯორჯს. ჯორჯმა სწრაფათ გადაყლაპა პუდდინგი და განაგრძო:

— რას აჩუქებ, მამა, ვილლიამს? მე-კი ვიცი, რა იამება შენგან! საიდუმლოთ მითხრა გუშინ!

ვილლიამი სასადილო ოთახიდან გაიპარა. სწორეთ ამ დროს მზარეულმა ხელში ტკბილი საჭმელი მისცა. სასადილო ოთახში შესელას ვილლიამი ამ წამს მიწა რომ გახეთქოდა და თან ჩაეტანა, იმას არჩევდა... მაგრამ სხვა ღონე არ იყო, ისევ უნდა დაბრუნებულიყო.

— ჰო, ღმერთმანი, მე ვიცი ვილლიამის საიდუმლო! — განაგრძო ჯორჯმა ეშმაკური სახის გამომეტყველებით. — დღეს დილას ხელახლავ ეკითხე, მამა რომ საჩუქარს ამოგარჩევინებდეს, რას აირჩევდი-თქო, და იმან მითხრა... გინდა, მაჰა, ყურში ჩაგიჩურჩულო, რა მითხრა?

— მერე, ჩემო კარგო! — უპასუხა სერ ეევერარდმა.

ჩარლსმა თავი ჩაღუნა და თავის საინს ყურადღებით თვალიერება დაუწყო; ვილლიამმა ეეღარ აიტანა ამდენი ტანჯვა და ხელახლავ გაჰქრა სასადილო ოთახიდან.

— ნამეტანი ბევრი ლაპარაკი იცი, ჯორჯ! — მიუბრუნდა სერ ეევერარდი შვილს, როცა ვილლიამმა კარები გაიხურა. — ამ ბავშვების პატრონი მუდამ შიშში და კანკალში ვარ! — მიუბრუნდა ის თავის ცოლის ძმას. — ისეთ რასმე იტყვიან ხან-და-ხან, რომ სირცხვილით სულ დაგწვავენ!

როდესაც ვილლიამი შემობრუნდა, ბატონები, მისდა სასიხარულოთ, პოლიტიკაზე ლაპარაკობდენ, ჯორჯი-კი თავის სამარილეში პატარა საფლავებს თხრიდა და შიგ პურის გულიდან გაკეთებულ ერთ-ნამცეცა კაცებს მარხავდა.

— მეწვიეთ, ჩარლს, პარასკევს სადილათ! — თხოვა ჩარლსს სერ ეევერარდმა. — აგერ ორი წელიწადია, ჩემი აბორიგენები აღარ დამიპატიჟნია, დროა ვიფიქრო ამ საჭირო საგანზე.

— რა სასაცილო სიტყვაა! — წაილაპარაკა ჯორჯმა, დამარხა თავისი უკანასკნელი მკვდარი, მის საფლავზე ოხრახუშის ფოთოლი დარგო და ცნობის-მოყვარეობით მამას მიუბრუნდა. — როგორ თქვი, მამა? აბო... აბო... როგორ?

— აბორიგენები! — დაეხმარა ბიძა. — აბორიგენები ველურ ხალხს ჰქვია.

— როგორ? ველურები ჩვენთან სადილათ მოვლენ? — განცვიფრებით იკითხა ჯორჯმა.

— ჰო!—ღიმილით უპასუხა ჩარლსმა.—წარმოიდგინე, რა სიამოვნება მოგელისთ პარასკევს შენ და ვილლის!

— ოჰ, რა მშვენიერებაა!—აღტაცებით წამოიძახა ჯორჯმა, წამოხტა და სტოლს გარშემო ხტუნვა დაიწყო.—მამა, მოგვეცი სიტყვა, რომ იმ დღეს მე და ვილლიც თქვენთან ვჭამთ სადილს! ვირჟინის ნუ ჰკითხავ, ისე მოგვეცი სიტყვა!

— მაგის სიტყვის მოცემა არ შემიძლია,—უპასუხა მამამ.—პატარა ბავშები მაგისთანა სადილებს არ ესწრებიან ხოლმე, განსაკუთრებით ისეთები, ვისაც ცოტა ენა უსწრებსთ, ამას-კი დაგპირდებით, რომ ორივე მოხვალთ სასტუმრო ოთახში და ნახავთ ჩემ სტუმრებს.

ამ წამს სასადილო ოთახში ვირჟინი შემოვიდა. ბავშებს არაფერათ ეჭაშნიკათ მისი დანახვა, კარგათ იცოდენ, რომ ეს მათ დასაძინებლათ წაყვანას მოასწავებდა.

— ჯორჯ, ვილლი, აბა, წამოდით, ძილის დროა!

ბავშები ძალა-უნებურათ გაჰყვენ, თუმცა ორივეს ფეხები უკან რჩებოდათ. მამა და ბიძია ჩარლსი ველურებზე ლაპარაკობდენ, ჯორჯს კი სულ ცოტა ოცი რამ მაინც ჰქონდა საკითხავი მათ შესახებ!

ველურებზე ფიქრით გატაცებული, ისინი ამ საღამოს ეშმაკობაზე აღარ ჰფიქრობდენ და ისე მიაღწიეს საწოლ ოთახამდის, რომ ვირჟინის ნერვებისთვის გზაში არაფერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ; იქაც წყნარათ დაემორჩილენ ვირჟინის და, სანამ მათ პირს ჰბანდენ, თავს ჰბარცხნიდენ და ერთი მეორეზე მიდგმულ პატარა ლოგინებში აწვენდენ, შეუწყვეტლათ ველურებზე ლაპარაკობდენ.

ვირჟინის ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. მან დააწვინა ბავშები, თავისუფლათ ამოისუნთქა და მოსვენებით წავიდა ეახშმის საჭმელათ.

— რა კარგი ჰქნა, რომ წავიდა!—მხიარულათ წამოიძახა ჯორჯმა.—მოდი, ვილლი, ისევ ველურებზე ვილაპარაკოთ!

— არა, ჯორჯ, ბნელაში ნუ ვილაპარაკებთ იმათზე!—შეეხვეწა პატარა ვილლი.—ან არა და... თუ უსათუოთ გინდა, რომ ვილაპარაკოთ, ჯორჯ, მაშინ... ხელი მომეცი, ისე აღარ შემეშინდება!

— არა, ნუ ვილაპარაკებთ!—დამამშვიდებელი კილოთი უთხრა ჯორჯმა, მიიწია თავის ლოგინის პირზე და კისერზე ხელი მოხვია

პატარა ძმას. ეილლი სიყვარულით მიეხუტა მას, და, ასე ერთი მეორეზე მიკრულებს მალე ორივეს ტკბილათ ჩაეძინა.

II

მეორე დილას სერ ევერარდი სასადილო ოთახში ცხრა საათამდის არ გამოსულა, მაგრამ მისი შვილები რვა საათიდანვე მამის ოთახის კარებთან იდგენ და ელაპარაკებოდენ მას, ისე რომ მთელმა სახლმა დაწერილებით იცოდა, ამა და ამ წამს სერ ევერარდი რას შერებოდა, რას იცვამდა და რას აპირებდა.

— მამა, ვანიდან მალე ამოხვალ?

— წვერს იპარსავს. ახლა რას შვები მამა?

— ღრუბლით იწმინდები? ყური დაუგდე, როგორ ჭყუმპალობს!

— აი, პირს ირეცხავს. რაღაც მიყუჩდა.

— ალბათ, პერანგს იცვამს.

მალე მოისმა როგორ გადატრიალდა გასაღები ბოქლომში, კარი გაიღო, და ოთხი პატარა ფეხის ბაკა-ბუკმა იქაურობა აიკლო.

— ძალიან გულმოდგინეთ იბანდით და იცვამდით, როგორც ჰგავს! — უთხრა ჩარლსმა სერ ევერარდს, როცა ეს უკანასკნელი და მისი ორივე ვაჟი ერთათ შეეიდენ სასადილო ოთახში. გვარიანი დრო მოანდომეთ ყველა ამას!

სერ ევერარდს გაეცინა.

— ამ სახლში ყოველათ შეუძლებელია ადამიანმა რამე საიდუმლოთ შეინახოს! — თქვა მან და ჩარლსს ხელი ჩამოართვა. — რა მშვენიერი დღეა, არა?

— ცოტა ეცხელება შუადღისას. რამდენათაც მახსოვს, საყდრამდის ადამიანი სულ დაჩრდილული ხეივნით უნდა წავიდეს. ეს ორი ვაჟბატონი წაჰოგვყვება?

— ეილლი არა, ჯორჯი-კი ყოველთვის დამყვეს ხოლმე, და, წარმოიდგინეთ, იქ მშვენიერათ უკავია ყოველთვის თავი. მე მგონია, საყდარი ერთათ ერთი ადგილია, სადაც ეგ არ ეშმაკობს.

საუზმის დროს ჯორჯი თან ჭამდა, თან გულმოდგინეთ ეძებდა თავის ლოცვანში ყველა იმ ლოცვებს, რომლებიც დღეს საყდარში უნდა წაეკითხათ, და ნიშნავდა მათ. ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ

ერთი სიტყვაც არ უთქვამს მთელი ნახევარი საათის განმავლობაში.

— გავათავე!—უცებ სიხარულით წამოიძახა მან, დანიშნა უკანასკნელი ლოცვა და კმაყოფილების ნიშნათ ლოცვანი კინაღამ ბურთივით ზევით აისროლა.—ყველა ვნახე!

— აბა, წადი ახლა და მალე ჩაიცვი, არ დაგვაგვიანო!—უთხრა მამამ.

ჯორჯი სწრაფათ გაჰქანდა, მაგრამ მაინც კინაღამ დააგვიანდა. ვირჟინისთან ჩხუბმა კარგახანი დრო დააკარგვინა.

სახლიდან საყდრამდის ლამაზი ხეივანი იყო გაყვანილი, რომლის იქით-აქეთაც მშვენიერი წალკოტი იყო გაშენებული. ვილლი გულდაწყვეტით უყურებდა ფანჯრიდან ამ ხეივანს და მიმავალ ძმას.

სერ ეევერარდი და ჩარლსი ერთ ხანს ჩუმათ მიდიოდენ. სერ ეევერარდი მშვენიერი დღით და ჰაერით სტკბებოდა, ჩარლსი წალკოტს ათვალიერებდა და ფიქრობდა თავის მიცვალებულ დაზე, რომლის გემოზედაც იყო აქ ყველაფერი გაშენებული, ფიქრობდა იმ დღეზე, როდესაც ის და მისი და უკანასკნელათ მიდიოდენ ამ ხეივანში საყდრისკენ.

ჯორჯი ხან მარჯვენით გარბოდა და ხან მარცხნით, დაუღალავათ დასდევდა ჭრელ ლამაზ პეპლებს.

— ხომ ხედავთ, რა მოუსვენარია!—მიუთითა მაზე სერ ეევერარდმა ჩარლსს.—ვერ გამიგია, როგორ არ მოწყინდება მთელ დღეობით ასე სირბილი!

— ჯორჯი მშვენიერი ბავშია!—თქვა ჩარლსმა და სიყვარულით მიაპყრო თვალები თავის დისწულის მეტყველ, მხიარულ სახეს, რომელიც ლამაზათ გამოსჩანდა ყვავილებს შორის.—რა ღონიერი, ჯანსაღია!

— არც-კი იცის, ავათმყოფობა რა არის!—დაეთანხმა სერ ეევერარდი.—ჩემ მამა-პაპას გამოემსგავსა. ისეთივე მაღალი, მოსული და მძლავრი იქნება, როგორც ყველა დენკომბები.

— ჰო, მართლა ძალიან ჰგავს თქვენი წინაპრების სურათებს, რომლებიც მე თქვენსას ვნახე. ისეთივე გამბედავი სახე აქვს, როგორც მათ, ისეთივე შავი თვალები. რა შედარებაა ვილლისთან! ის ისეთი ნაზი, სუსტია!

სერ ეევერარდმა უნებლიეთ ამოიოხრა.

— მეშინია, რომ ყველაფრით გამოსახული დედა იქნება.—თქვა მან.—გრილმა ნიავმა რომ ერთი შეუბეროს—მაშინვე ყელი ასტკივდება, ან ხველას დააწყებინებს. საშინლათ მაფიქრებს მისი ტანის სიმთელე.

— რაც ხანი გაეა—გამოკეთდება.—დაამშვიდა ჩარლსმა.—მაგის ხანში მეც ძალიან სუსტი ვიყავი, ახლა-კი არაოდეს აღარ ვარ ხოლმე ავათ.

ამასობაში ჯორჯი სადღაც გაჰქრა. ბევრი იყურა ბიძა მისმა იქით-აქეთ, მაგრამ ვერსად დაინახა თავისი დისწული.

— მე არაოდეს არ ვეძებ მას და არც ველი!—უთხრა სერ ევერარდმა.—ის ყოველთვის დროზე გაჩნდება ხოლმე საყდრის კარებთან!

მართლაც, როცა ი'ინი საყდარს უახლოვდებოდენ, ჯორჯი, მთლათ გაწითლებული და დაღალული, დაეწია მათ.

ჩარლსი თავს მაინც და მაინც დამშვიდებით ვერ გრძნობდა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, ამისთანა ეშმაკი პატარა მეზობელი მოსვენებას არ მომცემს წირვის დროსო, მაგრამ, შევიდენ თუ არა საყდარში, ჯორჯმა მოიხადა ქუდი, გადაიყარა უკან თავისი შავი ხუჭუჭი თმა და დინჯათ და წყნარათ გაემართა ყველაზე წინ, საცა დენკომბების პატარა სამლოცველო იყო.

ჩარლსს ეგონა, ბავში მამას მოუჯდება გვერდითო, მაგრამ ჯორჯი სამლოცველოს მეორე მხარეს წავიდა, აპორტყდა მაღალ სკამზე და დაჯდა მაღალ სტოლის წინ, რომელზედაც სქელი და დიდი ლოცვანი იდვა. ლოცვანის ყდაზე ქალის სახელი ეწერა: „ადელაიდა“.

გლეხებს ძალიან უკვირდათ, მამა და შვილი რატომ ერთათ არ ზიანო, და თვით ღვედელმაც ძლივს შეიკავა უნებლიე ღიმილი, როცა პირველათ დაინახა სამლოცველოს ერთ მხარეს მაღალი, მოსუელი ყმაწვილიკაცი—და მეორეს—პატარა, შავ თმა-ხუჭუჭა თავი, რომელიც ძლივს მოჩანდა მაღალი სტოლის იქითიდან. სერ ევერარდმა რამდენჯერმე თხოვა თავის შვილს, ჩემ გვერდით მოდიო, მაგრამ ჯორჯი არაფრით არ დათანხმდა. ერთხელ მამას გაუელვა აზრმა, იქნება იქ მიტომ ჯდება ხოლმე, რომ ეს მისი დედის ადგილი იყო უწინო, მაგრამ მერე გადაწყვიტა, ჯორჯი ისეთი გრძნობიერი არ არის, რომ ასეთ რამეებს მიაქციოს ყურადღება, უთუოთ ტყუილათ ჯინიანობს და ის არისო, და თავი დაანება შვილს. ჯორჯიც

თავისი მხრით ვილლის მეტს ირავის არ უმხელდა, რა სიამოვნებას გრძნობდა, როცა იმ ადგილს იჯდა, სადაც უწინ მისი დედა იჯდა ხოლმე, და იმ საგნებს ეხებოდა, რომლებსაც უწინ დედა მისი ეხებოდა.

ის დაადებდა ხოლმე დედის დიდ ლოცვანს თავის პატარას და სიტყვა „ადელაიდა“-ს მოფერებით ხელს უსვამდა. იმას თვითონაც ვერ გაეგო რატომ იყო, რომ ყველა სხვა ადგილებზე უფრო საყდარი აგონებდა მას საყვარელ დედას.

ახლა ცელქი ბავში დინჯათ იჯდა თავის კუთხეში და ფიქრობდა იმ კვირა დღეზე, როდესაც დედამ პირველათ მოიყვანა აქ, როდესაც ის ლოცვებს, მასთან ერთათ, ამ დიდ წიგნში კითხულობდა და ნაზი ხმით ფსალმუნებს გალობდა.

როდესაც წირვა დაიწყო, ჯორჯი ძირს ჩამოსრიალდა. ყველა მიჩვეული იყო იმას, რომ როცა სერ ევერარდი წამოდგებოდა და გაიმართებოდა, მის შვილის ხუჭუჭა თავი სულ დაიმალებოდა ხოლმე დიდ სტოლს უკან. ჩარლსს-კი, რომელმაც ეს ჩვეულება არ იცოდა, ეგონა, ბავში ძირს უცაბედათ ჩამოვარდაო.

— რატომ სკამზე არშედგება?—გაკვირვებით გაიფიქრა მან.

ჯორჯს ხშირათ თითონაც ძალიან უნდოდა შემდგარიყო სკამზე და მაღლიდან დაჩერებოდა მთელ მრევლს, მაგრამ მას გადაწყვეტილი ჰქონდა საყდარში მარტო ის ექნა, რასაც მისი დედა შვებოდა ხოლმე, დედამისი-კი არაოდეს არ შემდგარა სკამზე.

სანამდის ფსალმუნების გალობა არ დაიწყეს, ჯორჯი, როგორც იყო, ადექენებდა თვალს წირვას, მაგრამ, გალობა დაიწყეს თუ არა, მას, როგორც ყოველთვის, დავთარი დაებნა. ის ვერაოდეს ვერ ახერხებდა მგალობლებთან ერთათ გაეთავებინა ფსალმუნი, ხან წინ უსწრებდა, ხან უკან რჩებოდა. ბოლოს მიხვდა, ყველა სიტყვას ერთნაირათ მღერა არ უნდა, ზოგი უნდა გამოუშვა, ზოგი უნდა გაიმეოროო, მაგრამ რომელი უნდა გამოეშვა და რომელი გაემეორებინა— ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო.

განსაკუთრებით აკვირვებდა მას ის უცნაური ხელოვნება, რომლითაც დიაკვანი ხმის ლამაზათ აწვე-დაწვეით „უფალო შეგვიწყალეს“-ს გალობდა.

ერთელ კიდეც სცადა მისთვის მიებაძა, მაგრამ იძულებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა მაშინვე შეჩერებულიყო, როცა დაინახა, რომ მამა მისი შორიდან გამწარებული ანიშნებდა გაჩუმდიო.

როცა მოხუცი მღვდელი ქადაგებას დაიწყებდა ხოლმე, ჯორჯი ყოველ ღონისძიებას ხმაროობდა, რომ ამ დროს სწორეთ ისე მჯდარიყო, როგორც მამა მისი. მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო; როგორც კი, ბევრ წვალებას შემდეგ, ის მოახერხებდა და სწორეთ მამასავით დაჯდებოდა, მამა ან ფეხს, ან ხელს გაანძრევდა, და ჯორჯს ხელახლავ უნდა დაეწყო.

დღეს სერ ეევერარდი სულ ადვილათ იჯდა, ფეხი-ფეხზე გადაედვა და ხელები გულზე დაეჭდო. ჯორჯმაც გადადვა ფეხი-ფეხზე და ხელები გულზე დაიჭდო.

ქადაგების დროს მხოლოთ ორჯელ გაერთო და დაანება თავი მღვდლის ყურის-გდებას. პირველათ—როცა ჩარლსმა ჯიბიდან კარანდაში ამოიღო და თავის სახარებაში რაღაც დანიშნა.

ჯორჯი ამ გარემოებამ ძალიან გააკვირვა, და ის ჩუმათ მიიპარა ბიძასთან რომ გაეგო რაში იყო საქმე. ჩარლსს თურმე ის ტაეპი დაენიშნა, რომელსაც დღეანდელი ქადაგება შეეხებოდა. ჯორჯმა გადაწყვიტა დღეის იქით ეკლესიაში კარანდაში ეტარებინა.

მეორეთ მისი გართობის მიზეზი ბევრათ უფრო საყურადღებო იყო. ეკლესიაში ბზიკი შემოფრინდა, ბზუილით იქით-აქეთ მიეხეთქმოეხეთქა და მერე თავის მსხვერპლათ ჩარლსი აირჩია.

ბზუილის გაგონებაზე ჯორჯი მობრუნდა და თავისი ბიძა საძაგელ მდგომარეობაში დაინახა. ის გაცხარებულათ ეომებოდა ბზიკს, გამწარებული თავს იქით-აქეთ აქნევდა, ხან წინ იწეოდა, ხან უკან იხევდა და გიჟივით ხელებს აქნევდა.

დიდ ხანს იმაგრა თავი ჯორჯმა, მაგრამ ბოლოს ეელარ მოითმინა და სწრაფათ ორიეე ხელი პირში ჩაიტენა, რომ ხმა-მაღლა არ გაცინებოდა.

ჩარლსმა რომ ეს შენიშნა, უარესათ გაბრაზდა, სტაცა ხელი თავის ლოცვანს და ისე მაგრათ მოუქნია თავის პატარა მტერს, რომ სული გააცხებინა. მკვდარი ბზიკი იატაკზე დავარდა, ჯორჯმა-კი ისევ ქადაგებას დაუწყო ყურისგდება.

ქადაგება ძალიან კარგი იყო. ჯორჯი უგდებდა ყურს და ცდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა წარმოედგინა ის, რასაც მღვდელი ამბობდა, ცდილობდა წარმოედგინა წმიდა სულები, რომლებიც თეთრათ შემოსილნი დასცურავენ ოქროს იერუსალიმში ზურმუხტის ზღვაზე და მშვენიერათ გალობენ „ალილუიას“.

ბოლოს არღანი დაუკრეს, ეკლესიის კარები გააღეს და ხალხმა გამოსვლა იწყო.

მღვდელი ერთხანს დაკვირვებით ადევნებდა თვალს კარში გამომავალ ხალხს და უთუოთ ჰფიქრობდა, ნეტავი თუ რამდენ ამათგანს მოუტანა სარგებლობა ჩემმა ქადაგებამ.

სერ ეევერარდიც თავის ადგილზე დარჩა, ისიც დაფიქრებული იყო და თავისი ვაჟის სახეს აკვირდებოდა. ცდილობდა ამ პატარა, სერიოზულ სახეზე მისი ფიქრები გამოეცნო. მერე ადგა და ჩარლსთან ერთათ გარეთ გამოვიდა. ჯორჯიც მათ უკან გამოჰყვა.

გრილი ზაფხულის ნიავი ნაზათ მიეალერსა ბავშის აწითლებულ სახეს. მშვენიერი დილა იყო. ძირს მწვანე ტყიანი ველი დაფენილიყო, თავზე მას მოწმენდილ, მოკაშკაშებული ლურჯი ცა გადაშლოდა. ჯორჯს რომ სიტყვით შეძლებოდა იმის გამოთქმა, რასაც ამ წამს გრძნობდა, უსათუოთ ამას იტყოდა: „ნუ თუ სამოთხე აქაურობას სჯობიაო?“

მაგრამ ისეთი ხასიათი არ ჰქონდა, რომ დიდხანს შეძლებოდა ერთ ადგილს დაფიქრებული გაჩერებულიყო. როგორც-კი მამა და ბიძასთან ერთათ დიდ გზაზე გამოვიდა, მაშინვე ისარივით გაჰქანდა და საშინელი მტვერი აადინა. წალკოტის კართან იმათ ვილლი და ვირჟინი დახვდათ. ბავშებმა უფროსებს გაასწრეს და წინ წავიდენ ორივე ერთათ; ჯორჯმა დაწვრილებით უამბო ძმას ყველაფერი, რაც კი ეკლესიაში მოხდა, რასაკვირველია არც ჩარლსის და ბზიკის ამბავი დავიწყებია.

— უი, კურდღელი!—უცებ წამოიძახა მან, და ორივე გაჰქანდენ იქვე ჩირგვის ქვეშიდან გამოვარდნილ კურდღლის დასაჭერათ.

ელ. წერეთელი.

(გაგრძელება იქნება)

ურუ-მუნჯების
და
ბრმების მეგობრები.



დასასრული *)

თუმცა ციხეში სასტიკათ ინახავდენ, გეინიკემ მაინც მოახერხა გაქცევა თავის ცოლ-შვილში. მაგრამ აქაც ს'მინელი დღეები დაუდგათ ამათ, ყოველ წამს ეშინოდათ რომ სამუილს ბინას უპოვიან და სასტიკათ დასჯიან. ცოლი მალავდა იმას პატარა საკუჭნაოში და კარებზე ჭინჭებს აფარებდა. ყოველ დღე პრუსიის ჯარისკაცები მოდიოდენ იმის სახლში და აქოთებდენ ყოველ კუნჭულს. რა გულის კანკალი ექნებოდა ამ დროს საწყალ დედაკაცს: „ეს ეს არი იპოვიან ჩემ ქმარს და ჩაამწყვდევენ ჩაბნელებულ ნოტიო ციხეშიო“. ვინ იცის რითი გათავდებოდა საქმე! ბედზე ვერ მიაგნეს პრუსიელებმა გეინიკეს ბინას, მობეზრდათ წინ და უკან ხეტიალი და წანწალი, ქალს დაუჯერეს, რომ იმან არ იცოდა სად იყო მისი ქმარი და მიანებეს თავი მის სახლის ზვერაობას. გეინიკემ გადასწყვიტა დრეზდენიდან სადმე შორს გაპარულიყო, რომ ვერავის ვერ მიეგნო.

---

*) ისიდე ჯეჯილი № IX.



ერთხელ დილით ქალაქიდან გამოვიდა კოჭლი, კუზიანი მოხუცი დაგლეჯილი ტანისამოსით. ერთ თვალზე მალამო ისე ჰქონდა გაკრული, რომ ნახევარ სახეს უფარავდა. იღლიაში სკრიპკა ჰქონდა ამოჩრილი და ზურგზე პატარა ტომარა ეკიდა. დარაჯებმა ყურადღება არ ძიაქციეს ამ მათხოვარს, რომელიც ნელის ნაბიჯით და დინჯათ გაუდგა შარა გზას და თან ჯოხით იგერებდა ორ-სამ ძაღლს, რომელნიც დაგლეჯას უპირებდენ. ეს კოჭლი და კუზიანი მოხუცი იყო სამუილი გეინიკე, რომელმაც სამუდამოთ მიატოვა დრეზდენი.

გეინიკე თავდაპირველათ თავის სამშობლო სოფელში წავიდა, მერე იქიდან გადავიდა ქალაქ იენს, სადაც უნდა დარჩენილიყო საცხოვრებლათ. მისი სახლობაც იქ მივიდა. სამუილ'ს დიდიხნის ნატვრა და სურვილი აუსრულდა. ის ჩაეწერა სტუდენტათ ქალაქ იენის უნივერსიტეტში და მუყაითათ მიჰყო ხელი საგნების შესწავლას. იმავე დროს ლუკმა პურის საშოვნელათ, ოჯახის შესანახათ, გაკვეთი-

ლებს აძლევდა. ცოლიც შოულობდა ცოტაოდენ ფულს ხელ-საქმით და თუ ძალიან გიუჭირდებოდათ, მოხსნიდენ თავიანთ პარკუჭანას, სადაც შენახული ჰქონდათ ცოტაოდენი ფული, რომელიც გაყიდული სოფლის მამულის ფასიდან გადაედვათ.

ასე მშვენიერათ და კარგათ ცხოვრობდენ ესენი. მაგრამ ერთხელ უბედურება ეწვიათ. პრუსიის ჯარის-კაცები ხშირათ დახეტიალობდენ და დაეძებდენ გაქცეულ საქსონელ ტყვეებს, რომ კაზარმებში წაეყვანათ და სასტიკათ დაესაჯათ.

სამუილის ახოვანი ტანი ყველას თვალში ეჩხირებოდა. ამიტომაც ის სულ შიშში იყო არ მიცნონ და არ დამიჭირონო. სკრიპკაზე-კი ძველებურათ უკრავდა ფულის საშოვნელათ. ერთხელ თხოვეს გეინიკეს, რომ საჯაროთ კონცერტში სკრიპკაზე დაეკვრა. დაკვრის დროს გეინიკემ უცბათ შენიშნა ხალხში პრუსიის უნტერ-ოფიცერი, რომელსაც ხშირათ ხედავდა ტყვეობის დროს. ამან თავზარი-დასცა უბედურს, ის კაციც საშინლათ დააცქერდა. სამუილმა თავი შეიკავა და განაგრძო დაკვრა, მაგრამ როდესაც პრუსიელი დარბაზიდან საჩქაროთ გავიდა, ამან ვეღარ შესძლო, მიატოვა სკრიპკა, უქუდოთ გავარდა ქუჩაში და წავიდა თავის სახლში. მეტი გზა არ იყო, უნდა მიეტოვებინა ქალაქი იენი, მაგრამ სად უნდა წასულიყო, თითონაც არ იცოდა. ამოარჩია სამი ქალაქი, დაწერა ქაღალდის ნაგლეჯზე და მისცა ხელში თავის სამი წლის შვილს, რომ იმას ამოერჩია ერთ-ერთი ქალაქის სახელი. ყმაწვილმა აიღო ერთი ქაღალდი, რომელზედაც ეწერა გ ა მ ბ ურ გ ი. იმ ღამესვე გეინიკე გაიპარა იქ. მალე სახლობაც გაუდგა გზას.

გეინიკეს პატარა შვილს კაი ხელი ჰქონოდა. ახალ დასახლებულმა გეინიკემ გამბურგში არა თუ ბევრი საქმეები იშოვა, დიდ ძალი ამხანაგებიც გაიჩინა, რომელნიც ვანვითარებული პირები იყვენ და ბევრში გამოადგებოდენ კიდეც. ამას, სხვა მოწაფეთა შორის ჰყავდა, ერთი მოწაფე ქალი, რომელიც მითხოვდა გამოჩენილ პოეტს კლოპშტოკს. ამ თავის მოწაფის საშუალებით გაიცნო ეს პოეტიც და ბევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სხვა განეითარებული ყმაწვილი კაცებიც. ყველა პატივსა სცემდა და ყურადღებას აქცევდა ამისთანა შესანიშნავ მშრომელ კაცს. ერთმა გავლენიანმა გრაფმა შპიმელმანმა სამუილი ჯერ თავის სახლში აიყვანა შვილების მასწავლებლათ და მდივნათ და მერე გამბურგის ახლოს ერთ სოფელში დანიშნა მასწავლებლათ.

გეინიკეს მასწავლებლათ დანიშვნა არაფრათ იამა იქაურ სოფლის მღვდელს. იმას უნდოდა თავისი ნათესავი ჩაეყენებინა ამ ადგილში. დაუწყო დევნა ახალ მასწავლებელს: ყოველ იმის სიტყვას, ყოველ იმის ნაბიჯს წუნს სდებდა. მეტადრე არ მოსწონდა მღვდელს, რომ გეინიკე ძველებურათ ჩათელითი არ ასწავლიდა ანბანს, არამედ ხმოვანი ასოებით შეუდგა სწავლებას. მღვდელი გლეხებს უმტკიცებდა, რომ ახალ მასწავლებელს ახალი სარწმუნოება შემოაქვსო. ყველა ამ დავიდარაბამ ბევრი უსიამოვნება მიაყენა სამუილს, მაგრამ ის თავისი მტკიცე ხასიათის წყალობით ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. ამასთანავე ის ძალოვანი და ღონიერი იყო და ამას სოფლელები ძალიან აფასებდენ და პატივსა სცემდენ. ჩადგა თუ არა სამუილი ამ ახალ თანამდებობაში მას მოჰკვარეს ერთი ყრუ-მუნჯი იქაური მეწისქვილეს შვილი. გეინიკეს მოაგონდა რომ წინეთ კარგათ მიჰყავდა ყრუ-მუნჯის სწავლა და გულმოდგინეთ შეუდგა სწავლების საქმეს; თავისუფალ დროს სულ ამას ახმარებდა და ახლაც საქმე დიდი წარმატებით წაიყვანა.

ორ წელიწადს ყრუ-მუნჯი ისე მოამზადა, რომ სხვა ბავშებთან ერთათ წარსდგა ისიც გამოსაცდელათ, რომ წმიდა ზიარების ნება მიეღო. ყრუ-მუნჯი არა თუ უწერდა მღვდელს პასუხებს, ზეპირათაც უპასუხებდა ყველაფერს. ყრუ-მუნჯმა მიიღო წმიდა ზიარება და ამ ამბავმა ყველა აალაპარაკა. გაბოროტებული მღვდელი არც ახლა დაცხრა: ამან ერთ კვირა დღეს ეკლესიაში იქადაგა, რომ გეინიკე ღვთის წინააღმდეგობას ჩადის, რადგან ცდილობს ყრუ-მუნჯი აალაპარაკოს, როდესაც ის ღვთის ნებით მოკლებულია სიტყვიერებასო. მაგრამ მღვდლის რისხვას არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ყოველ მხრიდან მო-

ჰყავდათ გეინიკესთან ყრუ-მუნჯები სასწავლებლათ. მას ისეთი თვალსაჩინო სარგებლობა მოჰქონდა, რომ ყოველი მხრიდან ჭკვიანი და განვითარებული კაცები პირადაც და წერილებით უცხადებდენ თანაგრძნობას.

რამდენადაც გეინიკე გულდასმით ეკიდებოდა ამ საქმეს, იმდენათ უფრო ატყობდა რომ დრო არ ჰყოფნიდა. სკოლაში მასწავლებლობას ბევრ ხანს უნდებოდა და დრო სულ ცოტა რჩებოდა; სურდა სოფლის მასწავლებლობისათვის თავი დაეხწია, რომ ერთიანათ მისცემოდა ყრუ-მუნჯების განვითარების საქმეს, მაგრამ როგორ მოახერხებდა, როდესაც შესანახი ჰყავდა ცოლ-შვილი, არც აბატ დელეპესავით საკუთარი შეძლება ჰქონდა და არც ჯერ-ჯერობით ვინმე აძლევდა შემწეობას. მართალია მისმა მწყალობელმა გრაფმა შიმპელმანმა აღუთქვა დახმარება ყრუ-მუნჯებისათვის სასწავლებლის გასამართავათ, მაგრამ პირობათ უდებდა, რომ დაბა ეანდსბეკში გაეხსნა ეს სასწავლებელი. გეინიკე იმ აზრისა იყო, რომ ამ გვარი სასწავლებელი დიდ ქალაქში უფრო საჭიროა და ამიტომაც ვერ შეთანხმდენ.

ათი წელიწადი გაატარა გეინიკემ სოფელ ეშენდორფში დღე და ღამ შრომაში, ყოველ წლივ ემატებოდა ყრუ-მუნჯი შაგირდები. ბოლოს გარშემო იმდენი ყრუ-მუნჯი შემოეხვია, რომ ნამდვილი სასწავლებელი შეიქნა, რომელიც მხოლოთ იმისი დაუღალავი შრომით ინახებოდა.

სოფელში ბევრი მოდიოდა ამ სასწავლებლის სანახავათ, ერთხელ ერთი საქსონის კაპიტანი ფონ-შრედერიც მოვიდა. გეინიკესთან ლაპარაკის დროს შეიტყო, რომ ესეც საქსონელი იყო და გულახდილათ შეჰყვირა:

— მერე რატომ თქვენ ქვეყანას არ ახმარებთ თქვენ შრომას? ეს კითხვა მწარეთ ეცა გულში გეინიკეს. იმან აუხსნა მიზეზი თუ რატომ არა ბრუნდება თავის ქვეყანაში და დასძინა, რომ თავის თავს ბედნიერათ ჩასთვლიდა თუ-კი ვინმე მოუხერხებდა შინ დაბრუნების

ნების მიღებას. ფონ-შრედერი დაჰპირდა და მართლაც აუსრულა გეინიკეს დაპირება. მალე მოუვიდა ნება-რთვა, რომ საქსონიაში დაბრუნებულიყო, ხოლო იმ პირობით, რომ დაეარსებინა ყრუ-მუნჯისთვის სასწავლებელი; ამ მიზნით დაუნიშნეს ცოტაოდენი ჯამაგირი, ოთხასი ტალერი, სწორეთ იმდენი, რამდენსაც იღებდა სოფელში მასწავლებლობისათვის. ის ადგილი, სადაც დააარსებდა სასწავლებელს თითონ უნდა ამოერჩია და კიდეც ამოარჩია ქალაქი ლეიპციგი. გეინიკე სწრაფლათ გაუდგა გზას, თან წაასხა ცოლ-შვილი და ცხრა ყრუ-მუნჯი შეგირდი. 13 აპრილს, 1778 წელს პირველათ გაიხსნა მთელ გერმანიაში ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი.

ამ ახალ სასწავლებელზე ყველა ბევრს ლაპარაკობდა. მთელ საქსონიაში გაითქვა გეინიკეს სახელი. ზოგი იმასაც-კი ჰფიქრობდა, რომ რაღაც უზენაესი ძალა ხელს უწყობს იმას ყრუ-მუნჯების სწავლებაშიო.

ზოგი დედ-მამას რომ მოჰყავდათ მასთან თავისი ყრუ-მუნჯი შვილები ეგონათ რომ გეინიკე სამ-ოთხ თვეში დააწყებინებდა ლაპარაკს და ძნელი იყო იმათი გადაჯერება. სამუილს ძალიან აწუხებდა, რომ ღარიბებისთვის ძნელი იყო ამ სასწავლებელში შესვლა და სწავლა. არ იცოდა როგორ გაეადვილებინა და თხოვა მეფეს ნება საჯაროთ ფულის მოგროვებისა. მაშინ ღარიბი ყრუ-მუნჯებისთვის თავსშესაფარს გამართავდა. მეფემ ფულის მოგროვება უხერხულათ დაინახა და თავის სალაროდან გადუწყვიტა ყოველ წლიური შემწეობა.

გეინიკემ დაჰყო ლეიპციგში თორმეტი წელიწადი. 30 აპრილს 1890 წელს სიკვდილმა წაგვართვა ეს პატიოსანი მშრომელი ადამიანი.

უკანასკნელ წუთამდის ის შეუსვენებლივ შრომობდა, ხელმძღვანელობდა ლეიპციგის ყრუ-მუნჯების სასწავლებელს, არდგენდა ხელმძღვანელობებს ყრუ-მუნჯებისთვის, რომ ჩამომავლობისთვის გადაეცა გამოცდილებით შეძენილი ცნობები. ამზადებდა ღირსეულ პირებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც შეეძლოთ მის მოადგილობა. კითხულობდა ფილოსოფიურ წიგნებს, მეტადრე კარგათ შეისწავლა კანტი და მის შესახებ დასწერა კიდეც რამდენიმე სტატია. სიკვდილის შემდეგ თავისი ცოლი და მცირე-წლოვანი სამი შვილი თითქმის უსახსროთ დატოვა.

სამშობლო ნიადაგზე დავარდნილმა თესლმა, კარგი ნაყოფი მოიტანა. არ მოიპოვება არც ერთი დიდი ქალაქი არა თუ გერმანიაში, მთლათ მთელ ევროპაშიაც, რომ იქ არ იყოს გამართული ყრუ-მუნჯებისთვის ისეთივე სასწავლებელი, როგორც ლეიპციგში. საუბედუროთ უმეტესმა ნაწილმა ყრუ-მუნჯებისამ, რომელთაც შეისწავლეს ლაპარაკი და გონება გაეხსნათ, არც-კი იციან ხეირიანათ სახელი იმ მაღალ სულოვანი კაცისა, რომელიც მათთვის ისე თავ-დადებულათ შრომობდა.

III

ვინ მიაქცია ყურადღება ბედ-კრულ ბრმებსა? ვინ დააარსა სასწავლებლები და თავშესაფარები, რომლებშიც უბედური და მუდამ სიბნელეში მყოფი ყმაწვილები სწავლობენ წერა-კითხვას და სხვა-და-სხვა ხელობას, რომლითაც ბოლოს შეეძლებათ ლუკმა-პურის შოვნა?

თვრამეტ საუკუნემდის ხეირიანათ არავის უფიქრია უბედურ ბრმების ბედ-ილბალზე. მხოლოთ 1771 წელს უცაბედმა შემთხვევამ გამოიწვია, რომ ერთ კაცს აზრათ მოუვიდა მათი შველა და ბოლოს შეიქნა ბრმებისთვის კეთილ ანგელოზათ მოვლენილი.

სწორეთ იმ წელს, ერთ ღრუბლიან შემოდგომის დღეს, პარიზის ქუჩაში მოდიოდა ერთი ახალგაზდა კაცი. ის მოულოდნელათ წააწყდა აუარება გროვა ხალხს, რომელთაც თავი მოეყარათ დუქნის წინ. ამ ხალხის ყურადღება მიქცეული იყო უცნაურ ორკესტრისთვის, რომელიც შედგებოდა ქუჩის დამკერელ მასხარულ

ტანისამოსში გამოწყობილ ათი კაცისაგან. მათ თავზე ეხურათ მაღალი წვეტიანი ქუდები, თვალებზე ჰქონდათ გაკეთებული სქელი ქაღალდისაგან დიდრონი სათვალები, რომ სინათლისაგან დაეფარათ, მაგრამ რაში ესაჭიროებოდათ ეს სათვალები ძნელი ასახსნელია, რადგან ყველანი ბრმები იყვენ.

ესენი ყველანი ერთათ მხეცურათ და დაუწყობრივ უკრავდენ სხვა-და-სხვა საკრავებზე რაღაც ხმას, ამავე დროს ერთს იმათგანს გაეკეთებინა დიდრონი ყურები და ფარშევანგის კუდი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა ქუჩის სიმღერებს. დუქნის პატრონს განგებ გაემართა ამისთანა უცნაური კონცერტი, რომ ხალხი მიეზიდნა. ნაღვლიანი და ჩაფიქრებული მისჩერებოდა ეს ყმაწვილი კაცი ამ უბედურებს, რომელნიც ლუკმა პურისთვის იმანჭებოდენ და მასხრობდენ ბრბოს წინ. გათავდა ეს ახირებული კონცერტი და ერთმა დამკვრელთაგანმა ჩამოატარა თეფში ფულის მოსაგროვებლათ. ყმაწვილიკაცი გაკვირდა, რომ ბრმა ხელ-შეხებით ადვილათ არჩევდა სხვა-და-სხვა ფულს.

— ნუ თუ ამ უბედურებს არ შეუძლიათ სხვა საქმე გააკეთონ და იმითი მოიგონ ფული? ხომ ტყობილობენ ხელ-შეხებით გამობერილ ზედ წარწერას ფულებზე. მაშ შესაძლო იქნება გამობერილი ასოებით შეისწავლონ კითხვა და განვითარდენ კიდეც. ფიქრობდა ყმაწვილიკაცი და ნელის ნაბიჯით მიდიოდა თავის სახლისკენ.

ეს ყმაწვილიკაცი იყო მეფის თარჯიმანი და წვერი პარიზის არხეოლოგიური საზოგადოებისა. სახელათ ვალენტინე გეის უწოდებდენ. მას შემდეგ რაც იმან ბრმები ნახა დუქნის წინ, თერთმეტი წლის განმავლობაში, გულში ჩარჩენილი ჰქონდა და ნაღვლათ გადაქცეული, თუ როგორ ეშველა ამ უბედური ბრმებისათვის. ვინ იცის სხვას, იმის ადგილს, ყურადღებაც არ მიექცია და დავიწყებოდა კიდეც ის ამბავი. ამის ფიქრებს კიდევ ზედ მეტათ დაემატა ერთი შემთხვევა. ვალენტინე გეი ერთ ოჯახში გაეცნო ბრმა ყმაწვილს, რომელიც ყო-

ველთვის ეხვეწებოდა თავის უფროსს ძმას, სახელმძღვანელოდან რამე წამიკითხეო: საბრალოს უნდოდა ცოტა რამ მაინც შეესწავლა! ძმა ზოგჯერ უსრულებდა თხოვნას, მაგრამ უმეტესათ დრო არა მაქვსო ეუბნებოდა. ბრმა ყმაწვილს-კი ისეთი მეხსიერება ჰქონდა, რომ მალე ბევრი ცოდნა შეითვისა. 1784 წელს ვალენტინე გეიმ გაიცნო აბატი დელეპე, რომელსაც გაუზიარა თავისი ფიქრები ბრმების შესახებ. აბატმა გულ-მხურვალე თანაგრძნობა გამოუჩინა და ბევრი სასარგებლო დარიგებაც მისცა.

ამ დროს გერმანიიდან პარიზში მოვიდა ახალგაზდა ბრმა მუსიკის დამკვრელი ქალი ფონ პარადიზი: ის იღებდა მონაწილეობას საესულიერო (საეკლესიო) კონცერტებში და დიდ ნიჭსაც იჩენდა, უკრავდა შვენიერათ ორღანოზე. მუსიკის გარდა ახალგაზდა ფონ პარადიზი ბევრ დროს ანდომებდა მეცნიერების შესწავლას და ითვლებოდა იმ დროში დიდ განათლებულ პირათ. ვალენტინე გეიმ მაშინვე გაიცნო ის ქალი, რომ შეესწავლა მისგან თუ რა საშუალებით შეიძლება ბრმების სწავლა-განვითარება. ქალმა უჩვენა მისთვის განგებ შეკერილი გეოგრაფიული რუკა, სადაც მთები, მდინარები, ქალაქები სხვა-და-სხვანაირათ გამობერილათ იყო შეკერილი. სხვათა შორის ქალმა უჩვენა ჯიბის პატარა სტამბა, რომელიც მასწავლებელს მისთვის მოეგონა; ქალი ხელ-შეხებით მარჯვეთ ცნობილობდა ასოებს, ამ ასოებით ადგენდა სიტყვებს და თავის მეგობრებს და ნათესავებს სწერდა წერილებს.

ვალენტინ გეი უფრო წახალისდა ფონ პარადიზი რომ გაიცნო და მოინდომა თავისი დიდი ხნის წადილის ასრულება. მაშინვე მოძებნა ბრმა ვინმე, რომ მასზე გამოეცადნა თავისებურათ ნაფიქრი ანბანის შესწავლა. მისგან გამოძებნილი ბრმა იყო თერამეტი წლის ყმაწვილი ფრანსუა ლესეერი, რომელიც ექვსი კვირისა რომ ყოფილიყო მაშინ დაბრმავებულიყო, გულყრა სჭირებოდა. მისი დედ მამა ძალიან ღარიბი და გაჭირვებული იყო. ოჯახი რომ შიმშილით არ ამოწყვეტოდა ფრანსუა იძულებული იყო ქუჩაში მოწყალება ეთხო-

ვა. ამ გროშებით მთელი სახლობა იკვებებოდა. ვალენტინე გეიმ შემთხვევით მიაგნო ამ ღარიბ ოჯახს, როდესაც დაეძებდა ბრმა მოწაფეს. ამან მაშინვე ფრანსუას ოჯახს ხელი გაუმართა, ბრმა-კი თავისთან წამოიყვანა და გულ-მოდგინეთ დაუწყო სწავლება. ამას სულ ცოტა ხანში ისეთი წარმატება დაეტყო, რომ თვითონ მასწავლებელი გააკვირვა. როდესაც ვალენტინი დარწმუნდა, რომ მისგან დაწყობილი წესებით სწავლა ბრმებისთვის ნამდვილათ კარგი იყო ამაზე მოხსენება წარუდგინა აკადემიას. ეს მოხსენება ისე საყურადღებოთ მიიმჩნიეს, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ მოინდომა ფრანსუა ლესეერის საჯაროთ გამოცდა. ეს გამოცდა სასიქადულოთ დამთავრდა როგორც მოწაფისთვის, ისეც მასწავლებლისთვის.

პარიზში ერთმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ რომ შეიტყო გეის ამგვარი სასარგებლო მოქმედება შემწეობა აღუთქვა, დაჰპირდა ბრმებისთვის თავშესაფარის გამართვას. მალეც გახსნეს ესრედ წოდებული კაცთა მოყვარე თავშესაფარი და თოთხმეტი ბრმა მოწაფე შეეიდა შიგ. თავდაპირველათ ეგონათ რომ მხოლოთ ის ბრმები ისწავლიდენ კარგათ, რომელნიც დიდი ნიჭისა იყვენ და შეხება მეტათ გრძნობიერი ჰქონდათ, მაგრამ გამოჩნდა რომ ამ თოთხმეტ მოწაფეში, მხოლოთ სამი ჩამორჩა ამხანაგებს. დანარჩენები მწყობრათ სწავლობდენ. ეჭვი აღარ იყო, რომ ბრმა ყმაწვილებს, ისე როგორც კარგ მხედველებს, შეეძლოთ განვითარება, თუ-კი ისეთი მცოდნე მასწავლებელი ეყოლებოდათ, როგორიც მაგალითათ ვალენტინე გეი იყო.

1785 წლის დასაწყისში მოხდა ბრმების თავშესაფარში პირველი გამოცდა აკადემიის წევრების თანდასწრებით. ნახულზე და გაგონილზე ამ წევრებმა ისეთი შვენიერი მოხსენება წარუდგინეს მთავრობას, რომ ყველა გაოცებული დარჩა. ამას მოჰყვა ის შედეგი, რომ ერთ წელს შემდეგ პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში ააგეს საუცხოო თავშესაფარი ბრმებისთვის, რომლის კარემბზე შემდეგი წაწერეს: „ტანჯული კაცობრიობის სასარგებლოთ“. მოსწავლე ბრმების რიცხვი ას ორმოცამდის ავიდა. მათ ასწავლიდენ კითხვას იმ წიგნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან, რომელიც გამობერილი ასოებით იყო შედგენილი და მუსიკას - ისევ გამობერილი ნიშნებით აღნიშნულ ნოტებზე. ამისთანა წიგნებს და ნოტებს თვითონ ბრმები ამზადებდენ. ანგარიშს სწავლობდენ ვალენტინ გეისაგან მოგონილ დაფებზე, გამობერილ ციფრებს ჩასვამდენ დახაზულ ხოლმე დაფის ოთხ-კუთხეებში. გეოგრაფიის სასწავლებლათ ხმარობდენ რუკას, ისეთ ნაკერს-კი არა, როგორიც ფონ პარადიზისა იყო, არამედ ისეთს, რომელზედაც ნაჩვენები იყო გამობერილათ მთები, მდინარეები, ქალაქები და სახელმწიფოების სამზღვრები. გარდა ამისა ბრმები სწავლობდენ სხვა-და-სხვა ხელობას და ხელ-საქმეებს, მაგალითათ ყაისნაღით ქსოვდენ სუფრებს, აბრეშუმით გამოჰყავდათ სახეები და სწნავდენ კალათებს, გიდელებს. ამ ხელსაქმეების გაყიდვით სასწავლებელი ზოგ დანახარჯს ფარავდა.

საფრანგეთის მაგალითით ევროპის სხვა ქალაქებშიაც გამართეს ბრმებისთვის სასწავლებლები თავშესაფარით. ბრმების სწავლება, რასაკვირველია თანდათან განვითარდა. მაგალითათ ფრანგმა ლუი ბაილმა მოიგონა იარაღი წერტილებით წერისა. ეს იარაღი წარმოადგენს ჩარჩოს შიგ სახაზავია, რომლის გადატან გადმოტანა ადვილათ შეიძლება. ამ სახაზავის წყალობით ოთხ-კუთხებია გამოყვანილი და სამ ხაზათ არის დაყოფილი: ზემოთი ხაზი, შუათანა და ქვემოთი. ამ ჩარჩოს, დასდებენ ქაღალდზე და ბრმები კარანდაშით ამ ოთხ-კუთხებში იმდენ წერტილს დასვამენ, რამდენიც საჭიროა რომელიმე ასოს გამოსახატავათ. მაგალითათ ასო ანი გამოიხატება ერთი წერტილით, რომელიც ზემო სახაზავში, მარცხნივ კუთხეში ჩაისმება. ბანი ორი წერტილით და სხვა.

ჩვენ ქალაქ თბილისშიაც არის ყრუ-მუნჯების და ბრმების თავშესაფარები.

ყრუ-მუნჯებისთვის სულ სამი წელიწადია რაც გამართეს თავშესაფარი. საშუალებას აძლევს უფრო სახელმწიფო, თუმცა შემო-

წირულობაც არის ხოლმე. სასწავლებელში ორი განყოფილებაა და მასწავლებელიც ორი ჰყავთ, ამ მასწავლებლებს პეტერბურგში ამზადებენ და იქიდან გვიგზავნიან. ყმაწვილები ზოგი კარგა მოზრდილია და ორივე განყოფილებაში ამ ჟამათ 21. ამათში სამი გარედან მოსიარულეა. ქალი შვიდია. ქართველები სულ რვანი არიან.

საქმის დიდი სიყვარული და მაგარი ძარღვები უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ყოველ დღე უცქიროს ამ უბედურებს, რომელნიც დიდი ტანჯვით ცდილობენ რაიმეს შეძენას და წერა-კითხვის სწავლას.

ბრმების თავ-შესაფარი უფრო ადრე, თექვსმეტი წლის წინეთ, იყო გამართული. მთელ კავკასიაში მოაგროვეს დიდ ძალი ფული და თითქმის ერთ და იმავე დროს გამართეს როკორც საავათმყოფო თვალების მოსარჩენათ, ისეც თვით ბრმებისთვის თავ-შესაფარი და სასწავლებელი.

სანამ ხალხი შეიტყობდა და შეეჩვეოდა ამ თავ-შესაფარის არსებობას, ყმაწვილებს იშვიათათ აბარებდენ, ახლა-კი, ვინც დაახლოებით დგას ამ თავ-შესაფართან, ამბობენ რომ დედ-მამას ერთხელ მიბარებული შვილის უკანვე წაყვანა აღარც-კი ჰსურთ და ცდილობენ თავიდან მოიშორონ და თავშესაფარში დატოვონ.

ამ საქმის დაწყება რასაკვირველია ადვილი არ იყო, ამას ბევრი ფული და ცოდნა ესიჭიროებოდა. ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა ამ თავ-შესაფარმა, ისე რომ ახლა ქალაქის განაპირას, ავლაბარში, საკუთარი დიდი შენობა აიშენა. ამ ჟამათ იქ მოსწავლენი, ორივე სქესისანი, არიან 45. ამათში ქართველი ბრმა ყმაწვილი 19. თითო მოსწავლის შენახვა უჯდებათ სამას მანეთამდის წელიწადში. ადრე, როცა უფრო ნაკლებათ აბარებდენ ყმაწვილებს, ზოგჯერ კარგა მოზდილებსაც მიიღებდენ ხოლმე. ახლა-კი თერთმეტ წელიწადზე მეტისას არ იღებენ, რადგან გამოცდილებამ დაანახა რომ დიდი და პატარა ბრმა ბავში ერთათ ვერ თავსდებიან. თითქმის ორი წელიწადი უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათ ყმაწვილებს, რომ ხელის თითების შეხებაში განვითარდენ. მერე იწყებენ კითხვის სწავლას და სხვა-და-სხვა ხელობას ისე, რომ ხუთი წელიწადი უნდებათ ბრმების სწავლა-განვითარებისათვის. ამათი სწავლის პროგრამმა თითქმის ისეთივეა, როგორც სამოქალაქო სკოლების პროგრამმა. ხოლო ხატვას და ფრებელის სათამაშოებს მეტ ყურადღებას აქცევენ. ბრმა ყმაწვილები სწნამენ კალათებს, სკამებს, ხალიჩებს და მეტადრე ტანისამოსის ჩოტკებს. ქალები ჰქსოვენ მრავალ სხვა-და-სხვა რასმეებს. ფორტოპიანოზე დაკვრასაც კაი ყურთა სმენის წყალობით ბევრნი სწავლობენ.

ზოგი ბრმა, ვისაც-კი საშუალება აქვს, იხდის სწავლა-შენახვის ფულს, უმეტესი-კი ინახებიან სხვა-და-სხვა წყაროდან, მეტადრე ღვინის და სპირტის ბაჟიდან შემოსული ფულით.

ის ბრმები, რომელნიც ათავებენ სწავლას და არსად არა აქვთ წასასვლელი გზა, რჩებიან თავშესაფარში და თავიანთი ხელობით ირჩენენ თავს.

მასწავლებლები ყოველთვის ყველა წიგნებს ვერ წაუკითხავენ მათ, და თვითონ ბრმებმა რომ შეიძლონ წიგნების კითხვა—საკუთრივ იმათთვის უნდა იყოს დაწერილი წიგნი გამობერილი ნიშნებით; ეს ძნელი მოსახერხებელია, ამიტომ ხშირათ კეთილი ადამიანები არ ზოგავენ დროს და ჯაფას და უწერენ ბრმებს სხვა-და-სხვა წიგნებს, რომ ყმაწვილებმა თავიანთ ნებაზე წაიკითხონ რა წიგნიც ჰსურთ. ამ ბოლო დროს, როგორც შევიტყეთ, ქართველი ქალები ან. პაველიაშვილის ხელმძღვანელობით სწერენ ბლომათ ქართული ლიტერატურული და ისტორიული შინაარსის წიგნებს ამ ბედით დაჩაგრულ ბრმა ბავშვებისათვის.

ან. წერეთლისა.



შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

სიტყვის პირველი ნაწილი
სომხის გვარში სახელია,
ბოლოს სიტყვა სათათრეთში,
„კნიაზთ“ გამომსახველია,
მთელი მთა და ბარი არის
ქართველთა ძველის ძველია,
იქ რომ მწერალი ცხოვრობდა,
მის მსგავსის პოენა ძნელია.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი იოსებ ნოზაძესაგან).

ამ უჯრებში ჩასმულ თითოეული ასოსაგან შეადგინეთ ქართული ანდაზა.



რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.